საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 7 ივლისი. 2017 წ. №135 (8272), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

NATO-ს მიერ სამხრეთ კავკასიაში მიღწეული წარმატებები არ უნდა დაიკარგოს!!!

8

ასეთია ცხოვრება...

2

შევარდნაძე წავიდა და... დარჩა

მევრო-პას შემა-ცხელა

5



რას უნდა ველოდეთ „დიდი ოცეულის“ სამიტისგან, რომელიც 7-8 ივლისს გაიმართება ჰამბურგში?

დავით ასკურავა: ერთხელ მაინც უნდა ავდგეთ მარჯვენა ფეხზე...

6

ღაჭავა-კოდუების ოჯახურ კლანს სატყუარად გადაგდებული „ძვალი“ ყელში ეჩხირება

4

დავით უსუფაშვილი გიორგი კვირიკაშვილს „შეელევა“

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს „გულისამაჩუყებელი“ წერილით მიმართავს:

„ბატონო გიორგი,

როგორც თქვენი განცხადებებიდან ჩანს, შექმნილმა ვითარებამ საკონსტიტუციო პროცესში აქტიურად ჩართვა გადაგაწყვეტინათ, რაც მისასალმებელია. ბევრი, მათ შორის მეც, ყოველთვის თვლიდა, რომ ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ლიდერის ქვეყნის უმთავრეს პოლიტიკურ პროცესში არ მონაწილეობა დაუშვებელი იყო. სამწუხაროდ, „ურემი უკვე გადაბრუნებულია“, მაგრამ თქვენი მკვეთრი პოლიტიკური ნაბიჯებით მისი ფეხზე დაყენება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

მიმდინარე საკონსტიტუციო პროცესში საკონსტიტუციო უმრავლესობასთან დაკავშირებული ხიფათების ქრესტომათიული მაგალითი შეიქმნა. თქვენ შეგიძლიათ პოზიტიური მაგალითი შექმნათ ამავე მიმართულებით — ქვეყანას თავიდან აარიდოთ სერიოზული პოლიტიკური კრიზისი და თან საკუთარი პარტიაც იხსნათ უკვე დაშვებული შეცდომების შემდგომი მძევლობისაგან. თუ მოხერხდება საკითხის გააზრება უფრო ფართო პოლიტიკურ პრიზმაში, ვიდრე ეს მომავალ არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობის შენარჩუნების ამოცანაა, მაშინ გამოსავალიც მარტივად გამოჩნდება და მისი დასაბუთებაც.

კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან ბევრი სამართლებრივ-პოლიტიკურ-ინსტიტუციური კითხვა არსებობს, მაგრამ, დამეთანხმებით, კრიზისული ფონის შექმნა საპარლამენტო საარჩევნო სისტემას უკავშირდება. ვითარებას კი ის ამძიმებს, რომ „ოცნების“ პოზიცია სწორედ ამ საკითხშია ყველაზე სუსტი, უარგუმენტო და „პულტების ანაბარა“ დარჩენილი. საქმე იმაშია, რომ 2020 წლისთვის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა არის არა ოპოზიციის ახირება, არამედ თავად „ოცნების“ 2015 წლის საკონსტიტუციო ინიციატივა, სათანადოდ გაფორმებული, დარეგისტრირებული, სახალხოდ განხილული, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მოწონებული და პარლამენტში კენჭისყრისთვის მომზადებული.

ეს არ არის მხოლოდ ისტორიული ფაქტი. ეს არის პოლიტიკური განაცხადიც, დაპირებაც და ვალდებულებაც, რომლის არ შესრულება ძალიან ძვირად დაუჯდებოდა და დაუჯდება ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას. სწორედ ამ ფონზე გამოიყურება განსაკუთრებით უსუსურად, მეტი რომ არ ვთქვა, ხელისუფლების წარმომადგენლების ნებისმიერი არგუმენტი შერეული სისტემის დატოვებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ქვეყნის პარტიულ-პოლიტიკური სისტემა 2015 წელს გამოიყურებოდა მზად პროპორციული არჩევნებისთვის და 2017-ში ეს ასე აღარ არის? თუ ასეა, რა ჩაიდინა ამისთანა „ოცნებამ“ ამ ორ წელიწადში, რომ ასე უკუღმა დატრიალებულა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღების ბორბალი?

ბატონო პრემიერ-მინისტრო, წინ ორი გზაა — თქვენი პოლიტიკური გუნდი ან ბოლომდე მიიყვანს 2015 წელს დაწყებულ საქმეს და 2020 წლის არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება, ან იგი ერთპარტიულ ავტორიტარიზმს დაისახავს მიზნად და ამ მიზანს შეელეწება, როგორც ყველა მისი წინამორბედი. მახსოვს, ჩვენი საერთო ოცნება მსგავსი შელეწვებისგან ქვეყნის დაზღვევა იყო“, — წერს დავით უსუფაშვილი.

ჯანი ბუკიკიომ გამოხატა კმაყოფილება ჩვენი მზადყოფნის გამო, გავაგრძელოთ დიალოგი!

პრემიერ-მინისტრის თქმით, ვენეციის კომისიის პრეზიდენტთან სატელეფონო საუბარი შედგა.

„მოგეხსენებათ, რომ პროცესი საკმაოდ მაღალი ჩართულობით მიმდინარეობდა წინა საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესისგან განსხვავებით. იყო ძალიან მნიშვნელოვანი საჯარო განხილვები, სადაც ყველა იყო ჩართული. ჩვენ გამოვთქვამთ მზადყოფნას, რომ კიდევ გავაგრძელოთ ეს დიალოგი, რათა მივიღოთ კონსტიტუცია, რომელიც ნამდვილად იქნება ჩვენი ქვეყნის უმრავლესობის ნების გამოხატულება. ეს არის მნიშვნელოვანი. შეგვიძლია, ვიმსჯელოთ იმაზე, რამდენად არის მზადყოფნა პოლიტიკურ სპექტრში კონსენსუსის მიმართულებით. ჩვენ ჩვენი მხრიდან გადავდგით ძალიან დიდი ნაბიჯები და კიდევ ერთხელ ვამბობ, მზად ვართ, გავაგრძელოთ და კიდევ მოვნახოთ ზომები, სადაც შესაძლებელი იქნება კიდევ რაღაცებზე შეთანხმება. ჩვენი მხრიდან კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ მზადყოფნას ამ მიმართულებით“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

სამი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარემ ევროპარლამენტს მიმართა

სტრასბურგში ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ევროპარლამენტისადმი საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკისა და უკრაინის პარლამენტების ერთობლივ მიმართვას ეხმაურება.

ირაკლი კობახიძემ, რომელიც ერთობლივი მიმართვის ინიციატორია, განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე, სადაც ქვეყნების ევროპული პერსპექტივის საკითხები განიხილება, მათ მიმართ მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაფიქსირდეს.

„წელს იმართება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი, სადაც ჩვენი ევროპული პერსპექტივის საკითხები განიხილება. პირადად ჩემი ინიციატივით, სამმა სპიკერმა — საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარეებმა მივმართეთ ერთობლივი წერილით ჩვენს ევროპელ მეგობრებს იმისთვის, მათი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაფიქსირდეს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ სამიტზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდეს მხარდაჭერა ჩვენი ევროპული პერსპექტივის მიმართ და ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით, ერთობლივი წერილით მივმართეთ ჩვენს ევროპელ მეგობრებს“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

შესაძლოა, ოპოზიციასთან გარკვეულ საკითხზე შეთანხმება შედგეს

კონკრეტულ ინიციატივებთან დაკავშირებით ჯერჯერობით ჩვენ განცხადებას ვერ გავაკეთებთ, — ასე უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ კითხვას, ოპოზიციასთან რაიმე ფორმატში განიხილება თუ არა მაჟორიტარული მანდატების შემცირების ხარჯზე პროპორციული წესით ასარჩევი დეპუტატების რაოდენობის გაზრდის და 2020 წლის არჩევნების ერთჯერადად, ამ ფორმით ჩატარების საკითხი.

„კონკრეტულ ინიციატივებთან დაკავშირებით ჯერჯერობით ჩვენ განცხადებას ვერ გავაკეთებთ. ჩვენ, ზოგადად, მზად ვართ დისკუსიისთვის, კონსულტაციებისთვის და ამ კონსულტაციების საფუძველზე შესაძლოა, შედგეს გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება“, — აღნიშნა კობახიძემ.

ვინც ონლაინ თამაშებით ერთობა, აკრძალვის შემდეგ საზღვრებს მიღმა ითამაშებს!

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლაშა ხუციშვილის განცხადებით, ონლაინ თამაშების აკრძალვა არ არის გამოსავალი იმისთვის, რომ პრობლემა მოგვარდეს, რადგან ვინც საქართველოში თამაშობს, ითამაშებს საზღვრებს მიღმა და ის თანხა, რაც საქართველოს ბიუჯეტში თამაშის შედეგად შედის, აკრძალვის შემთხვევაში, საზღვრებს გარეთ გაედინება.

„აკრძალვის შემთხვევაში სოციალური ნაწილი იგივე რჩება, რადგან საუბარია იმაზე, რომ უნდა იყოს უფრო ეფექტური კონტროლი, მათ შორის ასაკი მკაცრად უნდა იყოს გაკონტროლებული. ასევე, როდესაც ადამიანი დამოკიდებულია თამაშზე, მას და მის ოჯახის წევრს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ეს ადამიანი შეიყვანონ იმ სიაში, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურა გააკონტროლებს, — განმარტა ლაშა ხუციშვილმა.

სამხედრო სწავლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში, ძარწემის პოლიგონზე, რუსული სამხედრო ბაზის სამხედრო მზადყოფნა შეამოწმეს.

რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის შტაბის განცხადებით, წვრთნების მიზანია საჯარისო ნაწილების მომზადება ბრძოლის ველზე გადაადგილებაში, სამხედრო მანქანების შენიღბვას, დანაღმულ-ფეთქებადი ბარიერების გადალახვასა და პოზიციების გამაგრებაში. სწავლებაში მონაწილეობა 2000-მა ჯარისკაცმა მიიღო, გამოყენებული იყო ათას ერთეულზე მეტი სამხედრო იარაღი და ტექნიკა.

◎ ასეთია ცხოვრება...

შევარდნაძე წავიდა და... დარჩა

სამი წლის წინათ, 2014 წლის 7 ივლისს, გარდაიცვალა ედუარდ შევარდნაძე, დამოუკიდებელი საქართველოს მეორე პრეზიდენტი. ის ახლა ისტორიის კუთვნილებაა და მისი მოღვაწეობის ობიექტური და საფუძვლიანი შეფასების მომენტი ჯერ კიდევ არ დამდგარა.

დრო ყველაფერს და ყველას, როგორც წესი, თავის დამსახურებულ ადგილს მიუჩენს.

მანამდე კი გვინდა, გავიხსენოთ შევარდნაძის „წასვლა“, რომელიც „რეპორტიორმა“ სულ პატარა წერილით და მრავლისმეტყველი ფოტოთი აღნიშნა. ასევე, „რეპორტიორის“ მეგობრებს ვთავაზობთ „ნეო-სტუდიაში“ შექმნილ ფილმს „წამი... წამება... წამიერება“. ღირს ამ ფილმის ნახვა.

ამ ფოტოს დიდი ხნის ისტორია არა აქვს. იგი კრწანისის რეზიდენციაშია გადაღებული...

ინტერვიუ დავამთავრეთ. შეუძლოდ მყოფმა მასპინძელმა კარამდე მაინც მიგვაცილა, გამოგვემშვიდობა, შეტრიალდა და... თემაც მოულოდნელად დაიბადა: „შევარდნაძე მიდის!“

ამ კადრს პროფესიონალი კაცი ხელიდან არ გაუშვებდა. ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი ფოტოაპარატთან განუყრელად „მეგობრობს“ . ჰოდა, „ვითარების“ ეს საჩუქარი მამაცაშვილმა პროფესიული ოსტატობით გამოიყენა და შევარდნაძის „წასვლის“ თემა ამ კადრით განივთდა...

მაშინ არ გამოვაქვეყნეთ, არ გვინდოდა ამ კადრისთვის სიმბოლური დატვირთვა მიგვეცა. მერე კი, „რეპორტიორის“ საიტზე იხილა მზის სინათლე ამ მრავლისმეტყველმა ფოტომ.

შევარდნაძისთვის „წასვლა“ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სხვათა შორის... მოსვლაც!

და მისი, როგორც პოლიტიკოსის „წასვლა-მოსვლა“ ყოველთვის საკუთარ სურვილთან არ იყო დაკავშირებული. ზოგჯერ სხვადასხვა მეთოდით (ეპოქისთვის რომ იყო დამახასიათებელი), ისე იშორებდნენ თავიდან; ზოგჯერ, თავად აღღო აიძულებდა, დაესწრო იძულებითი „გაშვებისთვის“, თანაც ისე, ეფექტიანად დგამდა ამ „სპექტაკლს“, რომ... პოლიტიკურ სცენაზე დაბრუნება გარდაუვალი იყო. დაბრუნების ფორმაც ეპოქების შესატყვისი გახლდათ და ყველაფერი იწყებოდა თავიდან...

მაგრამ ბოლო წასვლამ „ტრადიცია“ დაარღვია. უღალატეს ალღომ (რომელიც მოადუნა ასაკმა და თვითდაჯერებულობამ) თუ „ძველ-ახალმა“ მეგობრებმა (რომლებისთვისაც „ინტერესები“ ყოველთვის უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ადამიანური ურთიერთობები), და აქტიური პოლიტიკიდან მის საბოლოოდ გასაშვებად „ვარდების რევოლუციის“ მოწყობა გახდა საჭირო.

მოვა დრო, ფარდა აეხდება ყველა საიდუმლოს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს უახლეს, ბოლო 20-30 წლის ისტორიასთან და „ფარდის ახდასთან“ იქნება დაკავშირებული ობიექტურობა და სიღრმე შევარდნაძის, როგორც პოლიტიკური ლიდერის, მოღვაწეობის შეფასება. ეს გარდაუვალია! ისევე, როგორც გარდაუვალია ქართული პოლიტიკური (და არა მარტო) ტრადიცია — ყველა და ყველაფერი ამოვსვაროთ ტალახში...

მეოცე საუკუნის არც ერთი პოლიტიკური ლიდერი თუ თვალსაჩინო მოღვაწე არ დარჩენილა შეურაცხმყოფელი „იარლიყის“ გარეშე. არც ერთი. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც შევარდნაძეა.

„ვარდების რევოლუციის“ ლიდერებმა და აქტივისტებმა, ისევე როგორც საზოგადოების სხვადასხვა ფენებმა, არ დაიკლეს „მგელ ტოტიას“ ლანძღვა-გინება, ქილიკი (რაც არც დღესაა იშვიათობა), მაგრამ... ვერც აკაკის „გამზრდელი“ წაიკითხეს განმეორებით და ვერც მისი გაჩუმება მოახერხეს. ის ყოველკვირეულად ესაუბრებოდა დაინტერესებულ საზოგადოებას გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან, რამდენიმე წიგნიც გამოუშვა, უმასპინძლა ბევრ უცხოელ პოლიტიკოსს თუ ჟურნალისტს, რომელთა ინტერესი პენსიაზე მყოფი ამ „დინოზავრისადმი“ სიცოცხლის ბოლომდე არ განელებულა.

მაგრამ დრო თავისას შვრება და... შევარდნაძეც წავიდა! სამუდამოდ!..

გასაცილებლად და პატივის მისაგებად ისინიც კი ჩამოვიდნენ, ვინც... გაწირა! პოლიტიკამ ესეც იცის.

მაშინ ბევრს ეწყინა და არ დაიშურა თბილი სიტყვა! არცთუ ცოტა — ავყიაობდა მაშინაც და ახლაც!

მაგრამ, რას იზამ, როგორც ფრანგები იტყვიან, „სე ლა ვი!“ დიახ, მართლაც „ასეთია ცხოვრება“, მით უმეტეს, პოლიტიკოსისთვის: არც ქება, არც ლანძღვა, არც ნეიტრალიტეტი არაფერს შეცვლის! რაც იყო — იყო!

და მიუხედავად არაერთი, მეტ-ნაკლებად სერიოზული ჩავარდნა-შეცდომისა, მამათელი ბიჭის გრძელ და საინტერესო გზაზე იყო ისეთი წარმატებები, რომ მის პიროვნებას, მისი მონაწილეობით გადაჭრილ საერთაშორისო მასშტაბის პრობლემებს, მის სახელთან დაკავშირებულ მსოფლიო მოვლენებს გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი ობიექტური (!) მკვლევარი.



და რა გასაკვირია, თუ მეოცე საუკუნის მსოფლიოს, ისევე როგორც კავკასიის რეგიონის ისტორია, ქართული გვარ-სახელის მქონე გამორჩეულ პოლიტიკოსთა შორის — სტალინთან, ბერიასთან, გამსახურდიასთან ერთად — უყოყმანოდ დაასახელებს ედუარდ შევარდნაძეს!

ნუგზარ ფოფხაძე

კახის მინისტრობის პერიოდში ძალიან ბევრი განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტი!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყების წინ, ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძეს დედაქალაქის მერის არჩევნებში წარმატება უსურვა.

ამასთანავე, პრემიერმა აღნიშნა, რომ კალაძისთვის მინისტრის რანგში ბოლო სხდომაა და მას გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

„დღეს კახისთვის არის ამ ამპლუაში მთავრობის ბოლო სხდომა და მინდა გადავუხადო დიდი მადლობა. კახის მინისტრობის პერიოდში განხორციელდა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი. უხეში დათვლით, ეს არის მილიარდ 200 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. 18 ჰიდრო, ორი თბო და ერთი ქარის ელექტროსადგური აშენდა. ჩაყრილია საფუძველი მზის პირველი ელექტროსადგურის მშენებლობაზე და დარწმუნებული ვარ, რომ ახალ, მნიშვნელოვან გამოწვევას, რასაც ჩვენი დედაქალაქის მერობა ჰქვია, კახი გაართმევს თავს. პირველ რიგში მოიგებს იმიტომ, რომ აბსოლუტურად პატიოსან ბრძოლაში კახის კონკურენტი ნამდვილად არ ჰყავს და რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს გააკეთებს ჩვენი დედაქალაქისთვის. მინდა, წარმატებები ვუსურვო ახალი სიმაღლეების ასაღებად“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

დღეიდან, „სერვისეარი“ თბილისი-ბათუმის მიმართულებით ფრენებს იწყებს

7 ივლისიდან ავიაკომპანია „სერვისეარი“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მიმართულებით იწყებს რეგულარული ფრენების განხორციელებას, — ახალი რეისის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუშინ მთავრობის სხდომის დაწყების წინ ისაუბრა. გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, ფრენები შესრულდება ყოველდღე (ოთხშაბათის გარდა), განხორციელდება ორი რეისი, ხოლო პარასკევს და კვირას კი — სამი რეისი.

„ჩვენს მოქალაქეებს და ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ დილის და საღამოს ფრენებით. „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ“ შეისყიდა ეს მომსახურება და აქედან გამომდინარე, მგზავრობა იქნება საკმაოდ ხელმისაწვდომი. ერთი გზის მიმართულებით ბილეთის ღირებულება 90 ლარი იქნება. ფრენები ამ ფორმატით გაგრძელდება არა მხოლოდ ზაფხულის სეზონზე“, — განაცხადა პრემიერმა.

ბოლო 6 თვეში ტურისტთა რაოდენობა 29 პროცენტით გაიზარდა

პრემიერის თქმით, ივნისში საქართველოს 330 000-მდე ტურისტი ეწვია და შედეგად, ივნისის თვეში ტურისტების რაოდენობის ზრდის უპრეცედენტო მაჩვენებელი — 43%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

„ეს არის იმ ტურისტების რიცხვი, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში და მათი რაოდენობა თითქმის 99 000-ით მეტია 2016 წლის ივნისის მაჩვენებელზე. ბოლო 6 თვის მონაცემებით, ტურისტთა რაოდენობა არის 29%-ით გაზრდილი, რაც კარგი მაჩვენებელია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ტურისტების შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში იზრდება როგორც რეგიონის, ასევე ევროკავშირის ქვეყნებიდან — ავსტრია +54%, ნიდერლანდები +36%, გერმანია +32%, გაერთიანებული სამეფო +28% და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მას შემდეგ რაც ჩვენ გვაქვს პირდაპირი ფრენები ლონდონის მიმართულებით, როგორც ქუთაისიდან, ასევე თბილისიდან, კიდევ უფრო მეტი ტურისტი შემოვა გაერთიანებული სამეფოდან. საფრანგეთიდან გვაქვს 23%-იანი ზრდა და ლიტვა 17%. ამასთან, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ტურისტების რიცხვი აზიის ქვეყნებიდანაც. თითოეული დამატებით შემოსული ტურისტი ნიშნავს დამატებით შემოსავალს ჩვენი მოსახლეობის პირად ბიუჯეტში და იმ ადამიანების ბიუჯეტში, რომლებიც სხვადასხვა ფორმით იღებენ სარგებელს ტურიზმიდან — ვაჭრობა, მცირე სასტუმროები, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, სხვადასხვა ტიპის მომსახურება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

დიმიტრი ქუმსიშვილი: მკაცრად კონტროლდება კაპიტალური პროექტების ფარგლებში განსახორციელებელი პროცედურები

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა 4-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში, ახორციელებს ამბიციურ და მნიშვნელოვან ფისკალურ და სტრუქტურულ რეფორმებს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის კეთილდღეობა.

„აღნიშნული რეფორმების დასაფინანსებლად, ქვეყნის ფისკალური სტაბილურობის და სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის, აუცილებელია დაგეგმილი კაპიტალური პროექტების მაქსიმალურად ეფექტიანი შესრულება. ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, მნიშვნელოვანია დაგეგმილი შესყიდვების დროულად განხორციელება. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაგეგმილი შესყიდვების ფარგლებში საიმპორტო საქონლის დროული შესყიდვა, მსგავსი შესყიდვები მიზანშეწონილია დასრულდეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის III კვარტალში“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

როგორც პირველმა ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, ფინანსთა სამინისტრო, სახაზინო სამსახური, ახორციელებს მონიტორინგს მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულებაზე, მათ შორის, მკაცრად კონტროლდება კაპიტალური პროექტების ფარგლებში განსახორციელებელი პროცედურები პროექტის შესრულების ყველა ეტაპზე და ყოველდღიურ რეჟიმში.

„ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვაკონტროლებთ, როგორც მიმდინარე, ასევე კაპიტალურ ხარჯებს, პრემიერ-მინისტრი ყოველკვირეულად იბარებს აღნიშნულის შესახებ ანგარიშს. მთავრობაზე გვაქვს დეტალური განხილვები და მთავრობის ყველა წევრს ძალიან კარგად აქვს გააზრებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხარჯვით ნაწილში 100%-იანი შესრულება. ამ მიმართულებით მესამე კვარტალში ჩვენ ვართ დარწმუნებული, რომ გეგმა 100%-ით შესრულდება,“ — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

მან ასევე, მოუწოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომ თუ რომელიმე მუნიციპალიტეტს აქვს ჩამორჩენა ხარჯების მიმართულებით, ეს უნდა აღმოფხვრას უმოკლეს ვადაში.

შეწყალებულია 170 მსჯავრდებული

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ხელი მოაწერა განკარგულებას „სასჯელის სხვადასხვა ზომით მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ“, რომლის თანახმადაც სულ შეწყალებულია 170 პირი. აქედან 9 ქალბატონია. შეწყალების კომისიამ, რომელიც 20 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით მუშაობდა, სულ 1073 პირის საქმე განიხილა და პრეზიდენტს საკუთარი რეკომენდაციები მიაწოდა.

შეწყალებულთაგან 120 პირი, მათ შორის 8 ქალბატონი, დღეს დატოვებს საპატიმრო დაწესებულებას, დანარჩენი 50 მსჯავრდებულს კი, რომელთაგან 1 ქალბატონია, სხვადასხვა ფორმით შეუმცირდება შეფარდებული სასაჯელი“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ.

◎ გესლიანები

რა სურს ქართული პოლიტიკის მხრჩოლავ მაშხალას გია ხუხა-შვილს?!

2017 წლის 3-9 ივლისის „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა ბატონ გია ხუხაშვილის წერილი „მაინტერესებს, რატომ არ გადადგა ირაკლი კობახიძე?!“

ბატონ ხუხაშვილს ადრეც ჰქონდა მსგავსი კატეგორიული განცხადება კობახიძის გადადგომის თაობაზე.

ბატონი გია ხუხაშვილი როდესაც ასეთ კატეგორიულ განცხადებას აკეთებს, ჩნდება ეჭვი, რომ იგი კონკრეტულ ვაიპოლიტიკოსებს ახმოვანებს, მაგრამ ჩვენ ამის გამოკვლევას არ ვაპირებთ, ჩვენ უნდა მივყვეთ ბატონი ხუხაშვილის მიერ გაკეთებულ „დასკვნებს“

„ცხადია, რომ ხელისუფლების არათანმიმდევრობას ვენეციის კომისიაში, ბუკიკიოც და სხვებიც შეურაცყოფად მიიღებენ“, ამბობს ბატონი გია.

გაზეთის იმავე გვერდზე გამოქვეყნებულია ბატონ ბუკიკიოს განცხადება: „როგორც უკვე ვთქვი, ეს კარგი პროექტია, მისი გაუმჯობესება შეიძლება. ჩვენ მიერ გამოთქმული რეკომენდაციების შემდეგ შეტანილი იყო ცვლილებები, ცვლილებები რომლებიც არ მიიღეს სხვა პოლიტიკურმა ძალებმა. მე მოვუწოდე მხარეებს, გამოძებნონ კომპრომისი“.

როგორც ვხედავთ, ბატონ ბუკიკიოს განცხადებაში არანაირ შეურაცხყოფაზე არ არის ლაპარაკი. ლაპარაკია კომპრომისზე, ხოლო თუ როგორი მისაღწევია კომპრომისი ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის, ჩვენმა ხალხმა კარგად იცის.

„ჩვენთვის განსაკუთრებულად მძიმეა არა მხოლოდ ეს მოცემულობა, არამედ შესრულების ხარისხიც. საერთოდ რატომ დაიწყეს ეს ყველაფერი ამ ფორმით, რატომ ჩართეს პროცესში ყველა, მაშინ, როდესაც არავისი აზრის გათვალისწინებას არ აპირებდნენ, რა საჭირო იყო ეს ექვსთვიანი ეპოპეა?!. — აღშფოთებულია „პოლიტოლოგი“ ხუხაშვილი.

„ექვსთვიანი ეპოპეა“ იმიტომ იყო საჭირო, რომ ხალხს გაეცნო კონსტიტუციის პროექტი და გამოეთქვა თავისი აზრი. ისარგებლა რა ამ „ფუფუნებით“, ხალხმა მოითხოვა უცხოელებზე მიწის გაყიდვის აკრძალვა, რასაც საერთოდ არ ითვალისწინებდა კონსტიტუციის პროექტი (ეს ქვეყნის განვითარების უპრეცედენტო მოვლენა იყო). ალბათ ამ საკითხის გადაჭრამ გააღიზიანა ასე, არა მარტო ბატონი გია, არამედ „კონსესუსა“ ოპოზიციონერები, არასამთავრობოები და ნაციონალთა ბანდის სხვა მიმდევრები.

„პარლამენტში ტრაგიკომიკური ვითარებაა, სასაცილოა, როდესაც აცხადებენ რომ თურმე მაჟორიტარებმა რაღაც დამაჯერებელი არგუმენტები მოიყვანეს... მაჟორიტარებმა ეს არგუმენტები გამოაქვეყნეს და საინტერესოა, სად ნახეს ის დამაჯერებლობა... პარტიული ინფრასტრუქტურა იმიტომ არ არის განვითარებული, რომ ასეთ წურბელა მაჟორიტარებს მიაქვთ პარლამენტის ნახევარი“, წერს „ბრძენი“ ხუხა.

რატომ არიან „წურბელები“ მხოლოდ მაჟორიტარები და არა პარტიული სიით არჩეულები? თუ „წურბელა“ მაჟორიტარების ნახევარს პარლამენტი მიაქვთ, ამ ინსტიტუტის გაუქმებით პარლამენტართა რაოდენობა საერთოდ უნდა განახევრდეს.

პარტიებმა ინფრასტრუქტურა რომ განავითარონ, გია ყოვლისმცოდნის აზრით, აუცილებელი ყოფილა პარტიები პარლამენტში მოხვდნენ.

ძალიან რთულია ბატონ გია ხუხაშვილის ლოგიკა გაიგო.

„ირაკლი კობახიძე არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ფიგურა, მაგრამ ახლა საბოლოოდ გაცამტვერდა“...

ვინმე ქარიყლაპია ხუხაშვილი ასეთ იდიოტობას რომ იტყვის, იმას რა უნდა მოსთხოვო...

ძალიან გვიკვირს სერიოზულმა გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ როგორ დაბეჭდა ასეთი, მხოლოდ სიძულვილით გაჟღენთილი წერილი.

უნდა გავიხსენოთ რომ, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს (ჩვენი აზრით კარგ პოლიტიკოსს) გეგმაში ჰქონდა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, მაგრამ იმის გამო რომ, ქართული ოპოზიცია ყოველთვის არაადეკვატური, საგანგებოდ ჩასაფრებული, მოღალატე ოპოზიციაა, ცვლილებები არ განხორციელდა.

ის რაც დღევანდელმა პარლამენტმა (და არა მარტო ბატონმა კობახიძემ) განახორციელა, ამ ეტაპზე ქვეყნის მნიშვნელოვანი გამარჯვებაა და ჩვენი ხალხი ამას კარგად ხედავს.

ნუგზარ შაორისპირელი

ლაჭავა-კოდუების ოჯახურ კლანს სატყუარად გადაგდებული „ძვალი“ ყელში ეჩხირება

ძალზე ხშირად, ვიღაცის ნათქვამი ერთი სხარტი ფრაზა და მწარე ირონიით, სარკაზმით გაჯერებული ერთი ხუმრობა, იმდენად მრავლისმეტყველია, იმდენად სრულყოფილად ხატავს შექმნილ ვითარებას და არსებულ მდგომარეობას, რომ ყოველგვარი კომენტარის გარეშე, პოლიტიკური დიაგნოზის დასასმელადაც უყოყმანოდ გამოდგება!

ამჯერად, მართლაც ენამოსწრებულმა ირონიამ გვიბიძგა, ერთხელაც მივუბრუნდეთ ფაქტს, რომლის შესახებაც ჩვენც და სხვებიც, იმდენჯერ და იმდენი ხანია ვწერთ, რომ ვინმეს შეიძლება „საზეპირო ადგილებიც“ კარგად ახსოვდეს. თუმცა, საქმის კურიოზულობამდე შინაარსი და ჟურნალისტიკის დადგენილი წესიც გვაიძულებს, ფაბულა შეგახსენოთ.

„2007 წლის თებერვალში სასტუმრო „საქართველოში“ განთავსებულ შპს „მასვალოს“ და „მასპინძელს“ მაშინდელი სოდ-ი მიადგა და ობიექტზე რვათვიანი რევიზიით ჩაჯდა. შესვლის მიზეზი რომ მხოლოდ ფინანსური რევიზია არ იყო, მოგვიანებით, ზაფხულში „გამხილეს“, როცა სოდ-ის უფროსის ერეკლე კოდუას ძმა დავით კოდუა და დედამისი ლაურა ღაჭავა აქაურ დამფუძნებლებს „პოტენციურ“ მყიდველებად მოევლინენ. ლაურა ღაჭავამ „მოახერხა“ და შპს „საქართველოში“ სამი წლის ბრძოლის შემდეგ მფლობელად დარეგისტრირდა, მაგრამ ამ ყველაფერს „წილების დათრევის“ ჩვეული მეთოდი უძღოდა წინ: დააპატიმრეს რამდენიმე გასხვისებაზე გაჯიუტებული ქონების მფლობელი და დამფუძნებელი. დანარჩენებს სოდ-მა საქმიანობა შეუზღუდა. გათვლა მარტივი იყო: როცა იძულებით გაჩერებული საწარმო არც ბიუჯეტს აძლევს რამეს და არც ოჯახში შედის კაპიკი, პატრონი იძულებული ხდება, ან ყველაფერზე თქვას უარი, ანდა „მყიდველის“ შემოთავაზებულ კაპიკებს დათანხმდეს, ასეც მოხდა, მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა.

2007 წლიდან დღემდე მთლიანად განიავდა აქაური ქონება. მოძალებულმა ფინანსურმა ვალდებულებებმა პრობლემას პრობლემა მიამატა. ოჯახურმა კლანმა „პარტნიორები“ აიძულა, მის სასარგებლოდ დაეთმოთ აქამდე შემორჩენილი წილები, რის შემდეგაც, შპს „საქართველოს“ მართვის საკონტროლო პაკეტი — 89% მათ ხელში აღმოჩნდა. დარჩენილი, გურამ ახრახაძის კუთვნილი წილი დიდად აღარ აღელვებთ. გაყიდვების შემთხვევაში 89%-ის მფლობელი, კოდუების გათვლით, ახალი პარტნიორი მას ძალზე იოლად „დაითრევს“, — თუნდაც საწესდებო კაპიტალის გაზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში პარტნიორი ან სულ დაკარგავს, ანდა იმ 11%-ის გასხვისებას დაყაბულდება.

ეს კი ისეთი ილუზიაა, რომელსაც განხორციელება არ უწერია. ამას ადასტურებს 10 წლის მანძილზე სასტუმრო „საქართველოს“ შენობასთან დაკავშირებული დღემდე დაუსრულებელი დავა. ნათლად ჩანს, რომ ოჯახური კლანი ჩვეულ სტილში ცდილობს ინვესტორის მოტყუებას, რომელსაც ისეთ ნაღმს სთავაზობს, რომელიც შესაძლოა საბედისწეროც აღმოჩნდეს მათი გარიგებისთვის.

მას შემდეგ, რაც გურამ ახრახაძემ საჯარო რეესტრში შემთხვევით აღმოაჩინა, რომ 2013 წლის ნოემბერში(?!) შპს „საქართველოს“ კუთვნილი შენობა, მიწის ნაკვეთთან ერთად, ქალბატონ ლაურა ღაჭავას ერთპიროვნული, პარტნორებთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებით მთლიანად დაიტვირთა იპოთეკით „ქართუ ბანკიდან“ მიღებული(?!) 8.5 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ, პოტენციური ინვესტორებისათვის სატყუარად „გადაგდებული ძვალი“ ახლა თავად კოდუებს ეჩხირება ყელში!..

ეს კი იმით დაიწყო, „სკანდალს“ რომ ვუწოდებთ და თავისი არსით კომიზმსაც რომ სცდება, სხვადასხვა ინსტანციის 6 სასამართლოსა და, რაც მთავარია, სააპელაციო სასამართლოს პრინციპულმა პოზიციამ შპს „საქართველოს“ აუქციონზე გატანა შეაჩერა. კიდევ ერთი საყურადღებო და საინტერესო ფაქტი! „ქართუ ბანკიდან“ მიღებული ფული ლაურა ღაჭავას იპოთეკით დატვირთული საკუთარი ქონების, „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფის“ გამოსასყიდად სჭირდებოდა. მიიღო კიდეც, ოღონდ ისე, რომ ამ თანხიდან შემდგომში შპს „საქართველოს“ ერთი თეთრიც არ მოხმარებია. უკვე მეოთხე წელია, რაც ამ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე ადგილიდან არ დაძრულა. წარმოუდგენელი ცინიზმი ის არის (თუმცა, სასაცილო ნამდვილად არაფერია), რომ **საქართველოში ჩივილით გურამ ახრახაძე უნებლიეთ, თავისი წილი ქონების უკანონოდ დამგირავებლის, — ლაურა ღაჭავას „მოკავშირედ“ და მხსნელად იქცა (?!). როგორ და, ახრახაძის სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ, როცა იგი დაზარალებულად ცნეს, „ბანკ ქართუს“ ღაჭავას ვალის გადაუხდელობის გამო ქონების ჩამორთმევაზე აღსრულება შეუჩერდა! მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელემ (ახრახაძემ) მტკიცების ყველა გარემოება უტყუარად დაადასტურა, მაინც ყოველდღე გვიწევს ამ თემაზე საუბარი.**

2017 წლის 17 მარტს მოქალაქე გურამ ახრახაძემ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს მიმართა. კომიტეტმა ვადების დაცვით გადაუგზავნა წერილი პროკურატურას, საიდანაც მიღებული პასუხიც, ასევე ვადების დაცვით, 8 მაისს დაუბრუნა ავტორს. „...გრძელდება ყოველმხრივ, სრული და ობიექტური გამოძიება“, — წერს პროკურატურა. არადა, ვინც ამ საქმეს იცნობს, აუცილებლად იკითხავს, რა გვჭირს ასეთი გამოუძიებელი და უსაშველო?! ისტორია კი ისეთია, როგორც სხვა ბევრი, „იმ დროიდან“ რომ მოგვყვება და ჯერაც არავინ იცის, მართლა როდის, სად და როგორი ბოლო ექნება!“

ასეა! **სესხის არამიზნობრივი გაცემის გამო აღძრული სისხლის სამართლის ერთი საქმე ოთხი წელია(?!) რაც, „ყოველმხრივი, სრული და ობიექტური“ გამოძიების ობიექტია(?!)** არადა, როგორც „ბოროტი“ ენები ამბობენ, საქართველოში იმდენი... ყოველმხრივი, სრული და ობიექტური“ გამოძიების ობიექტი და „ახეული ბიზნესის“ მსხვერპლია, რომ საეჭვოა, პროკურატურა-სასამართლოს ასეთი „ოთხწლიანი მუშაობის ტემპით“, ვინმეს წართმეული ქონება საერთოდ დაუბრუნდეს! — წართმეული ღირსების დაბრუნებაზე აღარაფერს ვამბობთ!

ამიტომაც, ჯერ ასეთი, წლების მანძილზე ყაჩაღობის, მერე კი ჯიბედაცარიელებული ქართველი ბიზნესმენებისა და გაპარტახებული ქართული ბიზნესის მიმართ სახელმწიფოსგან მსგავსი დამოკიდებულების გამო ნათქვამი — რატომ ყიდულობენ ჩვენში უცხოელები ყველაფერს?! — უაზრო, რიტორიკული შეკითხვა და მწარე რეალობაა!

ჰოდა, დაზარალებული ბიზნესმენების არმიას ნუგეშად ორი რამ დარჩენია. პირველი, გურამ ახრახაძის ერთი მეგობრის მოსწრებული ხუმრობაა; ერთიც ვნახოთ და კიდევ ერთი სადავო სასამართლოს წინა დღეს, სოციალურ ქსელში (როგორც ერთხელ „რეპერების“ შემთხვევაში) ბერა ივანიშვილის განცხადება გამოჩნდა — „თქვენთან ვარ, ჩემო ბატონო გურამ“ — ხომ აშენდა კაცი?!

მეორე კი...

იქნებ, ასეთი ძალიან არასასიამოვნო ხუმრობის მიზეზებზე ხელისუფლების (სურვილის შემთხვევაში) სერიოზულად დაფიქრებამ მაინც გამოიღოს შედეგი! მით უფრო, რომ გურამ ახრახაძისეული 11% იმდენად ძნელად „დასახრავი ძვალი“ გამოდგა, რომ კოდუებთან ერთად, შეიძლება სხვაც „დაახრჩოს“!

მერაბ გუგუნაძე

არ შეგეშინდეთ, სამტრედიელებო!

„საქართველოს რკინიგზა“ პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე განცხადებას ავრცელებს

„საქართველოს რკინიგზა“ სამტრედია II-ში დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„საინფორმაციო საშუალებებით და სოციალური მედიით გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, სადგურ სამტრედია II-ში დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. გვინდა, განვაცხადოთ, რომ ალერგიული სიპტომები მხოლოდ რკინიგზაში მომუშავე პირებს არ აღენიშნებათ და არანაირად არ უკავშირდება მათ შრომით პირობებს. მსგავსი ჩივილებით სამტრედიის მოსახლეობა, ზაფხულის ცხელ პერიოდში, ხშირად მიმართავს სამედიცინო დაწესებულებებს.

სს „საქართველოს რკინიგზის“ მხრიდან მოწვეული იქნა ჯანდაცვის სამინისტოროს და გარემოს დაცვის სააგენტოს წარმომადგენლები, რომლებმაც შეისწავლეს აღნიშნული საკითხი და მათი დასკვნის საფუძველზე შეგვიძლია მოგახსენოთ, რომ აღნიშნული ალერგიული ფონი მწვავდება ზაფხულში — ივლისისა და აგვისტოს თვეებში, რაც დაკავშირებულია სავარაუდოდ მცენარეების ყვავილობასთან. სპეციალისტთა დასკვნით რადიაციული ფონი არ არსებობს. ამასთანავე, შეგახსენებთ რომ სს „საქართველოს რკინიგზის“ კორპორატიული დაზღვევით სარგებლობს ყველა თანამშრომელი,მათ საშუალება აქვთ, სამტრედიაშივე მიმართონ პროვაიდერ კლინიკებს, სადაც მომსახურებას გაუწევენ კვალიფიციური სპეციალისტები.

რაც შეეხება „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებულთა სამუშაო პირობებს; გაცნობებთ,რომ ელმავლებში, სადგურებში, სხვადასხვა საამქროსა თუ დეპოებში, მუდმივად ხდება პირობების გაუმჯობესება, შეძენილია და მოძრაობს თანამედროვე ელმავლები, რომელიც აღჭურვილია გათბობა-გაგრილების სისტემით და ყველა იმ აუცილებელი პირობით, რაც მემანქანეს სჭირდება. პერსონალს დაურიგდა სპეც-ტანსაცმელი. ხოლო ლიანდაგის მონტიორებს, ზეინკლებს, ელ. მომარაგებისა და სხვა მუშაკებს, რომელთაც შენობების გარეთ უწევთ სამუშაოების შესრულება, საქართველოს რკინიგზის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეეცვალათ მუშაობის გრაფიკი.

„საქართველოს რკინიგზა“ მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით უწყვეტ რეჟიმში აკვირდება ქალაქ სამტრედიაში მიმდინარე პროცესებს და სრულად ფლობს ინფორმაციას თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“, — ნათქვამია განცხადებაში.

წერილი რედაქციას!

გამწმენდი ნაგებობები აუცილებელია

ზაფხული მოვიდა და სააგარაკო ადგილებში დახვავებული პრობლემების შესახებ გვინდა გაცნობოთ. გრიგოლეთში ნაპირგამაგრება განახორციელეს, ბუნებრივი აირიც მოვიდა, მაგრამ... გამწმენდი ნაგებობა, კანალიზაციის სისტემა არ არსებობს.

არა და, სასტუმრო სასტუმროზე შენდება... ფეკალიები სულ ცოტა ხანში ეკოლოგიურ კოლაფსს გამოიწვევს, რადგანაც წყალს ძირითადად მინიდან ჭების საშუალებით ვიღებთ. იქვე ჭებშივე საკანალიზაციო ღრმულები კეთდება და მრავალ ოჯახს პრობლემები ექმნება. მალე ალბათ ინფექციები იფეთქებს...

მოსახლეობა მზადაა, წილობრივი მონაწილეობა მიიღოს, რათა კანალიზაციის სისტემა მოწესრიგდეს. ძალიან გთხოვთ, ეს საკითხი შესაბამისი სამსახურების წინაშე დაისვას, მით უმეტეს გრიგოლეთის გვერდით ბავშვთა კურორტი ურეკია...

კაკო გოგრონიძე, როინ ცეცხლაძე, იონა თავაძე, ანტონ ქარაბაკი.

ევროპას შეაცხელა

რას უნდა ველოდეთ „დიდი ოცეულის“ სამიტისგან, რომელიც 7-8 ივლისს გაიმართება ჰამბურგში?



ამერიკულმა საცურაო კოსტიუმების მწარმოებელმა ფირმამ ფურორი გამოიწვია ინტერნეტში. გამოუშვა საცურაო კოსტიუმები, რომლებზეც აღბეჭდა ცნობილ პერსონაჟთა პორტრეტები (ფოტოზე – დ. ტრამპის, ჰ. კლინტონის და ვ. პუტინის გამოსახულებანი, როგორებადაც ისინი დაინახეს დიზაინერებმა).

დიდი ხანია, ევროპა ასეთ მღელვარე და დაბნეულ მდგომარეობაში არ ყოფილა, როგორც „დიდი ოცეულის“ ამ შეხვედრის წინა დღეებშია. მდგომარეობას პილპილი შემატა ამ ღონისძიების მოწინაღმდეგე ანტიგლობალისტების მასობრივმა გამოსვლებმაც.

ისინი ამტკიცებენ, რომ გერმანიაში შეკრებილი „ოცეული“ გამოხატავს არა ევროპელების, არამედ მსოფლიოს ფინანსური კაპიტალის ინტერესებს, რამაც დაჩრდილა ყველა დანარჩენი ინტერესი. კითხვებს ამწვავებს სხვა მიზეზებიც. მათგან უპირველესია ევროპაში მილიონობით ლტოლვილის ნაკადი, რომლებიც პოლიტიკურმა კრიზისებმა და სამხედრო კონფლიქტებმა აჰყარა სამშობლოდან.

პირველი შიში

ამ კრიზისების სათავეებზე ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები ცდილობენ, არ ილაპარაკონ. აი, შედეგებზე გაჩუმება კი შეუძლებელი გახდა. ევროპელები დააშინა მიგრანტთა უწყვეტმა ტალღებმა, რომლებიც კაცმა რომ თქვას, სხვა ცივილიზაციას განეკუთვნება. ევროპის რუკაზე, რომელიც ამაყობს საზღვრების უქონლობით, ხალხის, კაპიტალის, კულტურისა და განათლების მოძრაობის თავისუფლებით, გაჩნდა მავთულხლართების საზღვრები. ზვირთდება ნაციონალიზმის და მასთან დაკავშირებული ძალადობის ტალღები. ლონდონის განცხადებას ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე, სხვა ევროსკეპტიკოსებმაც აუბეს მხარი.

ხოლო მერკელი, რომელიც თავდაპირველად ლტოლვილთა „ანგელოზ-მზრუნველი“ იყო, იძულებული გახდა, შემზღუდველ ღონისძიებებს დათანხმებოდა. ღია კარის პოლიტიკა მას ლამის პოლიტიკურ კარიერად დაუჯდა. რა ბედი ელის სწრაფად ისლამიზირებად ევროპას, ზუსტად ვერავინ ამბობს. შესაძლო ვარიანტი ამას წინათ ახსენა თურქეთის პრეზიდენტმა რ. ერდოღანმა, რომელმაც ცინიკურად განაცხადა, „ევროპას მუსლიმან ქალთა მუცლები დაიპყრობენო“. თვითონ ერდოღანი, გერმანიის სულ უფრო მზარდ თურქულ დიასპორაზე დაყრდნობით, გერმანიაში თავს ისე გრძნობს, როგორც თავის საარჩევნო შტაბში.

გადასახადი ევროპაზე

ერთობ ორაზროვანია ევროპის მიმართ ვაშინგტონის პოზიცია. ტრამპი, რომელმაც გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს, მექსიკას გაემიჯნოს ეკლიანი მავთულის ღობით, თავს იკავებს გამოკვეთილი პოზიციისაგან ევროპაში ლტოლვილთა წარღვნასთან დაკავშირებით. არადა, სწორედ ამერიკული პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, ავღანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ბოლო ათწლეულებში ობიექტურად უწყობდა ხელს დესტაბილიზაციას და ავტორიტარული რეჟიმების შექმნას, დღეს კი ამის გამო იხდის არა ამერიკული ხაზინა, არამედ ევროპელი გადასახადის გადამხდელი. დემოკრატიის მთელ მსოფლიოში ქადაგებით ვაშინგტონმა ევროპაში ნელი მოქმედების ბომბი ჩადო. ლაპარაკია ევროპის ერთობისთვის ძირის გამოთხრასა და აქედან გამომდინარე, ევროპის დასუსტებაზე.

„ოცეულის“ სამიტამდე ცოტა ხნით ადრე ტრამპმა ევროპელებს კიდევ ერთი თავის ტკივილი გადაუგდო. ლაპარაკია კლიმატზე. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ „მწვანეთა მოძრაობა“ ბოლო ათწლეულში ევროპაში ხელშესახებ პოლიტიკურ ძალად იქცა. „მწვანეები“ ძალიან პოპულარულები არიან ახალგაზრდებში. გარემოს დაცვა ევროპელი პოლიტიკოსებისთვის მოღვაწეობის მნიშვნელოვან მომენტად იქცა. და აი, ტრამპი ისე, რომ ევროპელ კოლეგებს არც მოთათბირებია, გამოდის და აცხადებს, რომ არავითარი დათბობა მსოფლიოში არ არის, ამერიკა კი ლოზუნგით – „გადავაქციოთ ამერიკა ძლიერ ქვეყნად“ მიჰყვება იმ ეკოლოგიურ პოლიტიკას, რომელიც სასარგებლოა ტრამპის ელექტორატისათვის.

გზაჯვარედინზე

ევროპა სერიოზული დილემის წინაშე დგას. ბოლო ათწლეულებში გამაერთიანებელი პროცესების, ერთიანი ვალუტის, ძლიერი ბაზრის და გერმანიის მძლავრი ეკონომიკური ნახტომის წყალობით მან შესამჩნევი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა. გახდა მოქმედი „რბილი ძალა“, და ეს აშშ-ის მომხიბვლელობის განლევის პარალელურად მოხდა. შემთხვევითი არ იყო ბოლო ხანს მერკელის საუბრები „ახალი ფორმატის ევროპაზე“. ერა, როცა ჩვენ შეგვეძლო, მთლიანად დავყრდნობოდით სხვას (იგულისხმება აშშ), გარკვეულად გავიდა. ევროპამ თავისი ბედი თავის ხელში უნდა აიღოს“ – ამას წინათ გაიმეორა მერკელმა.

მერკელი სულაც ვერ შეაშინა ტრამპის მოთხოვნამ ევროპის მიერ ნატოს ფინანსირების გაზრდის შესახებ. საპასუხოდ, თვალი არ დაუხამხამებია ისე, მიანიშნა საკუთარი ევროპული არმიის შექმნის შესაძლებლობაზე. ნატოსთვის (რომელიც იყო და რჩება აშშ-ის შვილობილად) ეს სერიოზული დარტყმა იქნებოდა. საფრანგეთში ახალი პრეზიდენტის – ამბიციური და დაჯერებული ევროპელის ე. მაკრონის არჩევის შემდეგ, „ევროპის ისტორიული გადარეფორმირების“ ტენდენცია – შეიძლება გაძლიერდეს.

* * *

მოგვწონდა ეს თუ არ მოგვწონდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ და დასავლეთ ევროპა დე ფაქტო ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმად აღიქმებოდა. ფაქტობრივად, ასეთად რჩება იგი დღესაც. და გულუბრყვილობა იქნებოდა ფიქრი, რომ რაიმე კონიუნქტურულ ქმედებათა ან რაიმე წყენების შედეგად იგი ერთბაშად შეიცვლება.

ვ. პუტინისა და დ. ტრამპის შეხვედრას ჰამბურგში (თუნდაც ელცინისა და კოლის მსგავსად ერთი მაგრად დაელიათ კიდეც), სულაც არ ძალუძს, მყისიერად შეცვალოს ვითარება მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის, ვითარება „უმძიმესი კრიზისისა“, როგორც იქნა გაცხადებული ამ დღეებში მოსკოვში, „პრიმაკოვის საუბრებზე“. ნათელია, რომ ანტირუსული სანქციები არ შეიცვლება. არ შეწყდება „ინფორმაციული ომი“, შენარჩუნდება ფანტომური შიში, რომ რუსული ტანკები დაიძრება ვარშავისა და ტალინისკენ. ნათელია სხვა რამეც: მოსკოვი არასოდეს იტყვის უარს ფორმულაზე, „ყირიმი ჩვენია“.

ჰამბურგის შეხვედრა ეს უაღრესად საინტერესო ველია დაკვირვებისთვის თამაშზე „ევროპის ისტორიული გადაფორმატირება“. ოღონდ, კითხვა – გახდება თუ არა „ახალი ფორმატი რეალობა, უპასუხოდ რჩება.

ვიაჩესლავ კოსტიკოვი

Аргументы и факты
№27, 2017 წ.

საქართველოს მოქალაქეობა ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებმა 11-მა პირმა მოითხოვა

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედებიდან სამი თვის განმავლობაში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებმა 11 პირმა მიმართა, 2-მა კი მოქალაქეობის დადგენის მოთხოვნით.

უწყების ოფიციალური ინფორმაციით, მოქალაქეობის განცხადება 4 შემთხვევაში დაკმაყოფილდა, ერთს უარი ეთქვა, 6 განაცხადზე კი წარმოება მიმდინარეობს. დაკმაყოფილდა საქართველოს მოქალაქეობის დადგენის ორივე მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ამ პერიოდში მოქალაქეობის დადგენის საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ცხინვალის რეგიონიდან განაცხადი არ შესულა. ასევე უცნობია, აღნიშნული პიროვნებებიდან რამდენმა ისარგებლა უვიზო მიმოსვლით.

სოსო ოსურაულის ძმამ დაანონსებული აქცია ჩაშალა

კონგოში დატყვევებული ქართველი მფრინავის სოსო ოსურაულის ძმამ გიორგი ოსურაულმა ინტერნეტში კიდევ ერთი ვიდეომიმართვა გაავრცელა. ის რამდენიმე დღის წინ, საზოგადოებას 7 ივლისს, 19:00 საათზე გმირთა მოედანზე მდუმარე შეკრებისკენ მოუწოდებდა. თუმცა, ოსურაულმა „ჯი-ეიჩ-ენს“ განუცხადა, რომ ეს აქცია აღარ გაიმართება, რადგან შეკრებამ პოლიტიკური ელფერი მიიღო.

„ამ აქციას ჩემი მხრიდან სხვა დატვირთვა ჰქონდა, ყველა მხარის გაერთიანება მინდოდა. თუმცა, შევატყვე რომ ამ შეკრებას სხვა სახე ეძლეოდა, პოლიტიკური სუნი ასდიოდა. სწორედ ამის გამო მივიღე გადაწყვეტილება, 7 ივლისს დაანონდესბული აქცია აღარ გამართულიყო. გმირთა მოედანი არ არის ის ადგილი, სადაც პოლიტიკური განცხადებები შეიძლება გაკეთდეს. ჩემთვის ამ ადგილს, იქ ჩატარებულ შეკრებას სულ სხვა დანიშნულება აქვს.

თუ პოლიტიკური შეხედულებებით მომინდება აქციის ჩატარება, ამას გმირთა მოედანზე ნამდვილად არ გავაკეთებ. ამ ადგილზე ისეთი ადამიანების სახელები და გვარებია ამოტვიფრული, პოლიტიკური განცხადებები ნამდვილად ზედმეტია. გმირების გაკეთებული საქმეები პოლიტიკაზე გაცილებით მაღლა დგას. არის კიდევ სხვა გარემოებებიც, რის გამოც ამ შეკრების გადადების გადაწყვეტილება მივიღე.

– რა გარემოებებს გულისხმობთ?

– გაუთვალისწინებელი რაღაცები მოხდა. არის დეტალები, რომელზეც არ ვისაუბრებ, რადგან საქმეს ასე სჭირდება. თუ საჭიროება მოითხოვს, არც ამის თქმას მოვერიდები.

– ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ხომ არ ყოფილა რაიმე სახის ზეწოლა, ან მინიშნება, რომ ეს აქცია არ გაგემართათ?

– არა, ეს ნამდვილად არ ყოფილა. გადაწყვეტილება ჩემი შეხედულებებიდან გამომდინარე მივიღე. ამ საკითხთან მიმართებაში ჩემი აზრი მაქვს, სხვა არავინ მაინტერესებს, არც მოქმედი, არც წინა და არც მომავალი ხელისუფლება. საქმე ჩემი ძმის სიცოცხლეს ეხება, ამიტომ ნაკლებად საინტერესოა, ვინ რას იტყვის.

ვინმეს მხრიდან ზეწოლა რომც განხორციელდეს, ნამდვილად ვერავინ გამაჩუმებს, ვერც მოქმედი ხელისუფლება და ვერც სხვა ძალები. ეს საქმე მე კი არა, ჩემი ძმის სიცოცხლეს ეხება, აქედან გამომდინარე ნაკლებად მაინტერესებს ვის რა, როგორ აწყობს.

– ისევ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი ძმა ცოცხალია?

– რა თქმა უნდა. მისი დაღუპვის შესახებ არანაირი ფაქტობრივი მასალა არ არსებობს. მისი დაღუპვის ვისაც სჯერა, იმან დაიჯეროს, ჩემთვის დაუჯერებელია. ნება იბოძონ და ეს გაუგებრობა გაარკვიონ! ადამიანის სიცოცხლეზეა საუბარი, სავარაუდოდ ნათქვამი, რომ ის დაღუპულია, ჩემთვის მისაღები არ არის. ამას დავეყრდნო? სისულელეა! თუ დაღუპულია, მანახონ! ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს ადამიანი ოჯახს დაუბრუნდეს.

ერთხელ მაინც უნდა ავდგეთ მარჯვენა ფეხზე...

დღეს ჩემი დაბადების დღე გახლავთ. ასაკი არ მემჩნევა- მეთქი, რომ მოგახსენოთ, ტყუილს ვიკადრებ და ჩემგან ეს არ ეგების. სხვა რომ არაფერი, სიმართლემ რა მომცა, ტყუილმა რომ ბედსა მწიოს?! საკმაოდ შელახული გახლავართ. ხვედრს მაინც არ ვემდური, ჩემი ფეხით დავდივარ... ჩემი ხნისანები, ეჰე... რა ხანია, მარილზე გავიდნენ. ისე, თოხნისას ჯოხის მაგივრობას თოხი მიწევს. ხის მოჭრას, მოგეხსენებათ, სიარული არ სჭირდება და ნაჯახს და წალდსაც ჩაუქად ვხმარობ. ვერკინები კალამსაც. ამ შემთხვევაში, რომ იტყვიან, საკუთარ სტიქიაში ვგრძნობ თავს. ისე, რვისა და რვის ნახევრისა გავხდი. არ უნდა იყოს ცოტა? ჩემს ასაკში, ბევრს შვიდი-რვა იუბილე აქვს გადახდილი, ღმერთმა ყველას გაუმარჯოს! მიუხედავად დაუფასებლობისა, მაღალ ღმერთს გეფიცებით, განაწყენებული არ გახლავართ. პირიქით, მომწონს კიდეც ჩეროში ჯდომა და აქედან ამაღლებულთა მოცლით, ჭვრეტა, საიუბილეო საღამოების მოწყობისას რომ დარბიან დოღის ცხენებივით. არადა, ძალიან გაახალგაზრდავდა ჩვენი შემოქმედებითი ელიტა.

ამას წინეებზე ტელეეკრანზე ნახევრადშიშველი გოგონა გამოვიდა, სამი წლის ასაკიდან თურმე სცენაზე დგას და საზოგადოებას აბედნიერებს. ვიცი, წამყვანმა უთხრა, გიცნობთო და მისი ბოლო სიმღერის წარმოშობის თაობაზე მისცა შეკითხვა.

ეს სიმღერაო, — ბრძანა გაბადრულმა „შემოქმედმა“ — ჩემდამი მოძღვნილი ბანკეტის მეორე დილით, თავისი ლექსითა და მუსიკით, სულ რაღაც ხუთ წუთში შევქმენიო. ნაბახუსევზე ასეთი რამ ხშირად მემართება, ალბათ, ტვინი მეხსნებაო, ეს ხომ გენიოსების თვისებააო, დასძინა წამყვანმა (ნეტა ვინ მოიგონა ეს პროფესია?). დაგვაიმედა, რომ სარეკლამო ჭრილის შემდეგ, მოიღებდა მოწყალებას და ამ მართლაცდა ფენომენური პიროვნების ახალ საოცრებას მოგვასმენინებდა.

მოვითოკე ნერვები, ჩემს არეულ გონებაში გავატარე პამპერსის ახალი ნიმუშების შეუდარებლობა, ახალი ოლვეისულტრა, წარმოუდგენელი მონაცემების ტუალეტის ქაღალდი, ბუსუსებიანი პრეზერვატივების გენიალური შესაძლებლობები და ბოლოს... ჩვეულებრივი კნავილი, მოშლილი არფის, სიმნაკლული გიტარისა და განგებ დაზიანებული დოლის ხმაურის თანხლებით.

ამისა და ამაზე უარესების მოსმენის, წაკითხვის, ნახვისა და გასიგრძეგანების შემდეგ, დამერწმუნებით, აზრად არ მომსვლია მეზრუნა საკუთარ იუბილეზე.

ესეც შენი ჭრელი და ლირიკული გადახვევა. ბოლოს და ბოლოს, არ გადამიყოლეს ამ უმწიფარმა გენიოსებმა? ესენი რომ დაფრთიანდებიან, მაშინ ნახეთ ნობელის პრემიაზე შემოვლითი გზებით მიხდომა და გრემისა თუ ოქროს პალმისკენ ლტოლვა.

დიახ, უნდა მოვითქვა სული და საკუთარ თავზეც უნდა ვიფიქრო ცოტა. თუ არა, როგორც ეს 84 წელი, ისე უყაირათოთ შემომეხარჯება დანარჩენი თექვსმეტიც და უყარე მერე კაკალი, არადა, ნამდვილად ვიცი, საუკუნე მიჭირავს ხელში და ისე არ დავტოვებ ზესკნელს, სანამ საქართველო ისევ არ გადაიჭიმება „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. რაო? უკვდავებას ველაციცები? რატომაც არა? ბატონებო, თუ ბიკინებიანი გოგონა ხუთ წუთში ლექსაც თხზავს, სასიმღერო მუსიკასაც და უკვდავებას ეპოტინება, მე რაო ვითომ, რითა ვარ ნაკლები, როგორ, ზოგადსაკაცობრიო პროგრესი ჩემთვის არ არსებობს? დამაცათ...

აგერ, კინაღამ ავყევი ცდუნებას და რაღაც თქვენთვის უკადრებელი და ჩემთვის მიუღებელი წამოვროშე. მაგრამ რა ვქნა, ამ ავტოინტერვიუს დაწყებამდე ოციოდე წუთით ადრე გენახეთ: მოჩვენებასავით რომ გავრბოდი ნაყანევში ტრაქტორის დასაბრუნებლად. დიახ, მამასისხლად დაქირავებული და საწვავჩასხმული ტრაქტორი სხვის ყანაში რომ დავინახე, შევიშალე კინაღამ და ლამის იყო უჯოხოდ, ძველებურად გავჭრილიყავი სამართლიანობის აღსადგენად. ახლა, მართლა რომ მყავდეს კითხვის დამსმელი და პასუხის ჩამწერი, ასეთ კითხვას დაუსვამდი საკუთარ თავს:

კორ: — რას საქმიანობს მოხუცი შემოქმედი?

მე: — მე გყავარ, ბაბუა, მხედველობაში? (პატარა უნდა ვიეშმაკო, აბა პირდაპირ ხომ არ ვაჯახებ პასუხს.)

კორ: — დიახ, თქვენ გეკითხებით.

მე: ამჟამად ჩემი უმთავრესი საზრუნავია ყანის დათესვა. ამ საქმეს თუ არ მივხედე, მთავრობის დიდი იმედი არ მაქვს. ხუთი ლტოლვილის პატრონი გახლავართ, ჩვენი ყელამდე ავსილი მთავრობა მათთვის იმ გროშებისგან შემდგარი შემწეობის წართმევითაც იმუქრება. ვთქვათ და, აღასრულა ქადილი, რავა, არ წაართვეს ხელმოკლეთა შემწეობა დასტურ შეჭირვებულებს და უსახსროებს? ჰოდა, ვცდილობ, ბაბუა, ყანით მაინც გავუმაგრო წელი ოჯახწართმეულ და მიუსაფარ ხალხს.

კორ: — მე შემოქმედებითი გეგმების...

მე: სადაა, ბაბუა, შემოქმედება? ახლა წიგნი რომ გამოსცე, პარლამენტში უნდა მუშაობდე, ან მინისტრი უნდა იყო, სხვას ვის შეუძლია ამ ტვირთის აწევა; სამი რომანი, თხუთმეტამდე მოთხრობა და ათას გვერდამდე ლექსი დამიგროვდა უკვე. რა ვქნა, ველოდები გამოდარებას. 2008 წელს აქეთ წიგნი არ გამომიცია, ეჰ... ისე, ნატვრას ვინ მოუკლავს, პატრონი რომ გამომიჩნდებოდეს?!..

კორ: — გულს ხომ არ გაკლიათ?

მე: მარტოკა მე რომ ვიყო სასოწარკვეთილთა რიგებში, ჯანდაბას ჩემი თავი, მაგრამ ხუთმილიონიან ქვეყანაში (ახლა 3 ნახევარს იძახიან, ვითომც მილიონ-ნახევარი დროის სატარებლად გვყავდეს გაშვებული) 500 კაცი ცხოვრობს ზეადამიანურად. დანარჩენებს რიგითი ადამიანობის ღირსებიც არ ვართ. აი, რა მოგვიტანა უხეიროდ თავგასულმა მმართველობამ! ყველა მომდევნოს წინამორბედის ლანძღვით სურს ლელოს გატანა და გააქვს კიდეც. დეპუტატი ქალი (კაციც, თუ გნებავთ!) დღეში ხუთ-ექვსჯერ რომ გეჩვენება ტელევიზიით და სულ სხვადასხვა სამოსში გამოწყობილი, მთელი რაიონის სიმდიდრე ყურებზე რომ ჰკიდია, გეტკინება გული და გაგისკდება, აბა, კაი მოგივა? რაო ვითომ, ევროპა-ამერიკის გზებზე მაგათი ლაყუნისათვის ნატრობდა სულმნათი ილია თავისუფლებას? თუ იმაზე ადრე, სულხან-საბა იმიტომ ეწამა ლუდოვიკოს კარზე ყურყუტით, რომ თანამდებობის პატრონ თანამედროვე მდედრებს თავიანთი უნიჭობა ტელევიზორში რომ გამოეემზეურებინათ.

კორ: — იუმორით უნდა შეხედოთ, ბატონო დავით, ცხოვრებას.

მე: გმადლობთ, ბაბუა, შენმა მონამორჩილმა ოცდათხუთმეტი წელი ითანამშრომლა ჟურნალ „ნიანგში“, სამოთხი იუმორისტული წიგნიც კი გამოსცა ამ ჟურნალის ბიბლიოთეკის სახელით და ახლა იქნებ ვცდები, მაგრამ მაინც ასე მგონია, რომ პაწა მესმის იუმორის რაობა. თანაც თქვენ და თქვენს ახლანდელ კოლეგებს იუმორად რომ მიგაჩნიათ, წყლის ნაყვაა ეს და იმ დანაყილი წყლის ხალხამდე საცრით მიტანას წააგავს.

კორ: — ე.ი. უკმაყოფილო ბრძანდებით?

მე: გენიალური შეკითხვაა! საქმიანი და დროული! ბარაქალა შენს მიხვედრილობას. მეზობელს რომ უჭირს და სულაც არ ანაღვლებს ეს, რომელი კუთხითაც გნებავთ, განჭვრიტე, დევს ამაში იუმორის მარცვალი? ათ ლარს რომ დაგპირდებიან და ერთ თეთრსაც არ გადმოგიგდებენ, იქნებ ამან დაგაყენოს იუმორისტულ განწყობაზე, თუ ზერელე განსწავლულთა დოღი რომაა გამართული მთელს ქვეყანაში და ლელო მხოლოდ ფულოსნებს გააქვს. იმედი მქონდა პაწა, მარა, აი პუტინიც, მთლად მაკვარანცხი რომ აღმოჩნდა? შეგვიხრამუნა სამაჩაბლო და აფხაზეთი? თუ ყირიმი და დონბასი ვერ გახადა „ძირძველი რუსული მიწა“? იუმორიო, მიბრძანეთ, ვითომ რით ვერ გადაექცათ ამერიკელებს (ჩვენზე არაფერს ვამბობთ) იუმორი სატირლად? ვისაა ახლა მსოფლიოს ბატონობისაკენ რომ უჭირავს თვალი და რით ვერა ჰყავს მთელს მსოფლიოში დაგზავნილი რუსი ჯაშუშები? ვერ დაათვლევინა შემოდგომაზე წიწილები? თუ ისე ვერ დაათვლევინა, როგორც თვითონ სურდა? ჰოდა, მქონდეს მე ახლა იმედი? თუ ევროპას შევაპაროთ თავი, გინდა-არ გინდა, შვილი თუ არა, ტრიკი ვარ შენი და მიპატრონეო? ეჰ?!.. რუსეთზე იძახიან, დაბდურაა, შლეგიაო, კი, ბატონო, რაც დედამიწის ზურგზე სიავეა, ყველაფერია რუსეთი. ჩვენი დიდი უბედურებაც მასთან კავშირის შეკვრა იყო. რა ვქნათ ახლა, დავუბრუნდეთ ძველ ჭირსა და დოზანას? ხომ ხედავთ, არავინ მისი ბოროტების შემკავებელი არა ჩანს. ამ პრეზიდენტებს შორის ზოგი ექიმია, ზოგი ვექილი, აკადემიკოსებიც არ აკლიათ და მილიარდერებიც. „კაგებეს“ ინკუბატორში დაჩეკილი ბარტყები კიდევ ბევრჯერ გამოაჩენენ ბრჭყალებს. მე შენ გეტყვი და, დასტურ მაგარი ყაზახია პუტინი.

კორ: — ჩვენში გეგულებათ ამდაგვარი ბარტყები?

მე: რა გინდა, ბაბუა შენ, წამომაცდინო გინდა რამე თუ?.. ჩვენი ყველა სიტყვა ეგერ ჰე, იქ იწერება, იცოდე და ჩემი აქ ბუუტურის არავის არ ეშინია, ვიცი მე ეს. ისე, თუ გინდა იცოდე, ქვეყნის გამყიდველები ჩვენში „კაგებეს“ გაჩენამდე დიდი ხნით ადრე არსებობდნენ, არსებობენ და აწიც იარსებებენ. წვეთი წყალი არ გაუვა, ისეთი სიმართლეა ეს...

კორ: — აბა, შეეუერთდეთ რუსეთს?

მე: უნდივართ კი რუსეთს? იმათ ჩვენ არც ვჭირდებოდით, არც ვჭირდებით და არც დავჭირდებით. რაც მათ ხიბლავთ, ეს ჩვენი ღვთისმშობლის წილხვედრი სამშობლოა, ჩვენი მიწა-წყალი. ყველა დაპყრობილი ერისა და ხალხის ასიმილირება შეძლო. ერთადერთი ჩვენ დავადექით ყელზე და იმიტომაც არის ასე გამხეცებული. 200 წელი ღეჭვის მიუხედავად, მაინც ყელზე ვადგივართ.

კორ: — აბა, რაღა ვქნათ?

მე: გამოვიღვიძოთ უნდა, ავდგეთ უნდა მარჯვენა ფეხზე, ვიპოვოთ თავი და, როგორც წესია, ისე ვიცხოვროთ, არ ვძარცვოთ ერთმანეთი, ხინჯი დაუფარავად ვამხილოთ, შრომა შევიყვაროთ, ურთიერთპატივისცემა ვისწავლოთ, აბა?!..

კორ: — დამაცათ, ბატონო დავით, თქვენ ერის მიმართ...

მე: დიახ, დიახ, ჩემო ბატონო, გვაფრთხილებდა ერთი ჭკვიანი კაცი, საქართველოში ნოყიერი ნიადაგი აქვს გუგულის კვერცხებიდან გამოჩეკილებსაო და ხეჩუაშვილთა მომრავლების გამო გოდებდა. ენდე?..

კორ: — აბა, თქვენი აზრით, არა გვეშველება რა?! (სიცილით მეკითხება ჩემი ეშხში შესული ორეული)

მე: რაც შეეხება აზრს, იგი, როგორც ასეთი, კარგა ხანია, გარდაიცვალა ჩვენს სინამდვილეში. აზრი და საქმე დღეს იმის ხელშია, ვისაც ფული და თანამდებობა უჭირავს.

კორ: — ჰოდა, (ნაღდად გაიხარა ჩემმა ორეულმა) ეს საქმე ხომ, ასე თუ ისე, მოყომარებულია.

დავით ასკურავა,
ლანჩხუთი-თბილისი

71.3% კონსტიტუციაში ქორწინების განმარტებას ემხრობა

გამოკითხულთა 71.3% კონსტიტუციაში ქორწინების განმარტებას ემხრობა. საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებები სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა შეისწავლა.

კვლევისას რესპონდენტებს კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიციის განსაზღვრის შესახებ ჰკითხეს.

გამოკითხულთა 71.3%, ტრადიციის განმტკიცების მოტივით, მიზანშეწონილად მიიჩნევს კონსტიტუციაში ქორწინების განსაზღვრების ჩაწერას, რომ ეს არის ქალსა და მამაკაცს შორის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით.

რესპონდენტების 26.3%-ის აზრით კი, კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერის გაკეთების აუცილებლობას ვერ ხედავს, იმიტომ, რომ ქორწინების შინაარსი სამოქალაქო კოდექსით უკვე განსაზღვრულია.

კვლევის ავტორების თქმით, აღნიშნული პოზიცია თბილისთან შედარებით რეგიონებში უფრო ძლიერადაა გამოხატული.

კვლევა საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და მასში მონაწილეობა საქართველოს 1500-მდე სრულწლოვანმა მოქალაქემ მიიღო.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

როგორც ინგლისი, ისე საბჭოთა კავშირი ომის მდგომარეობაში იმყოფებიან გერმანიასთან, ამ ფაქტებს გვერდს ვერ აუვლი. თანამშრომლობა კი, რაზეც კრიპსი ლაპარაკობს, წარმოუდგენელია შეთანხმების გარეშე. ამჟამად ჰიტლერმა შეკრიბა ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო და შექმნა რაღაც კოალიცია იტალიის, რუმინეთის, უნგრეთის, სლოვაკიისა და ფინეთისაგან. ჰიტლერის მხარეზე ასეთი კოალიციის დროს, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ, ინგლისი უარს აცხადებს დადოს რაიმე შეთანხმება სსრ კავშირთან. იქმნება ინგლისის საბჭოთა კავშირისაგან და საბჭოთა კავშირის ინგლისისაგან იზოლაციის შთაბეჭდილება. ინგლისის ასეთ პოლიტიკას სსრ კავშირთან დაკავშირებით მოაქვს აშკარა ზიანი ჰიტლერთან ბრძოლის საქმისთვის.

აქ უკვე კრიპსმა გამოთქვა ვარაუდი, რომ, შესაძლებელია, გაურკვევლობა თავად სიტყვა „შეთანხმების“ გააზრებაშია. სტალინს უწევს განმარტოს, თუ როგორ ესმის მას შეთანხმება: ინგლისი და სსრ კავშირი კისრულობენ ვალდებულებას აღმოუჩინონ ერთმანეთს შეიარაღებული დახმარება გერმანიასთან ბრძოლაში; ორივე მხარე კისრულობს ვალდებულებას, არ დადონ სეპარატისტული ზავი. „საკითხის ამგვარი ელემენტარული დასმის დროს გაუგებარია ინგლისის გაუბედაობის მიზეზები“, ამბობს სტალინი. ელჩი კრიპსი აცხადებს, რომ, როგორც მან სტალინს გაუგო, აუცილებელია გქონდეს შეთანხმება ან ნოტების გაცვლა ერთმანეთისთვის ორივე მხარის მიერ დახმარების გაწევის შესახებ და ვალდებულების შესახებ — არ დადონ გერმანიასთან სეპარატისტული ზავი. სტალინი უპასუხებს, რომ ელჩმა მას სწორად ვერ გაუგო. რა იქნება შემდეგ? რახან ბრიტანელმა დიპლომატმა გაიგო სწორად, შეიძლება გადავიდეთ კონკრეტულობაზე. არა, ამას არ ასწავლიან ინგლისელ დიპლომატებს. ლონდონის „დინამო“ აგრძელებს თამაშის შერჩეულ ხაზს. კრიპსი, რომელიც დაგვპირდა, რომ ინფორმაციას მიაწოდებდა თავის მთავრობას, აცხადებს, რომ მისი აზრით, შეთანხმების დადების საუკეთესო საშუალება იქნებოდა ნოტების გაცვლა. სტალინი ამბობს, რომ, მისი აზრით, უკეთესი იქნებოდა გაეკეთებინათ ისე, როგორც ეს კეთდება ჩვეულებრივად, ურთიერთდახმარების შესახებ პაქტის დადების დროს, კერძოდ კი — ხელი მოაწერონ შეთანხმებას. თანამშრომლობა, რაზეც ლაპარაკობდა ჩერჩილი თავის გამოსვლაში 22 ივნისს, არის, რასაკვირველია, კარგი საქმე. მაგრამ ასეთი თანამშრომლობა იქნება სპორადიული და ხანმოკლე. ხოლო თუ ორივე მხარე აღმოჩნდება დაკავშირებული ერთმანეთთან პაქტით ურთიერთდახმარების შესახებ, მაშინ შესაძლებელი იქნება გარკვეული ხანგრძლივი და არაშემთხვევითი თანამშრომლობა. თავისი სიტყვის დასასრულ სტალინი კვლავ საუბრობს უკიდურესად მკაცრად: „...თუ ასეთი პაქტი მოუხერხებელია და არამიზანშეწონილი, ეს უნდა თქვა აშკარად და პირდაპირ“.

როდესაც დაარწმუნა სტალინი იმაში, რომ მას ყოველთვის უნდოდა ამგვარი პაქტის დადება ინგლისსა და სსრ კავშირს შორის, კრიპსმა განაცხადა, რომ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ არიან დაჯგუფებები, რომლებიც უნდა დაარწმუნონ სსრ კავშირსა და ინგლისს შორის თანამშრომლობის აუცილებლობაში. ამის გათვალისწინებით, კრიპსს მიაჩნია, რომ შეთანხმების დადება, შეიძლება, ნაადრევი გამოდგეს. პასუხად სტალინი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ კიდევ უფრო მეტად სახიფათო იქნება დავიგვიანოთ ამგვარი შეთანხმების დადება. კრიპსი გამოთქვამს იმედს, რომ ის შეძლებს დაარწმუნოს თავისი მთავრობა გააფორმოს სტალინის შემოთავაზებული პაქტი. თუმცა ამას დასჭირდება დრო, და კრიპსი სთხოვს სტალინს — ნუ გაწბილდება, თუ ცოტა მოცდა მოგვიწევს. ამჟამად კი თანამშრომლობის ყოველი დღე გვაახლოებს ასეთი შეთანხმების დადების დღეს. ინგლისის ელჩი ასეც ამბობს — „თანამშრომლობის ყოველი დღე, რაზეც სტალინმა შენიშნა, რომ ის „ვერ ხედავს რაიმე თანამშრომლობას ორივე ქვეყანას შორის, ჯერჯერობით ეს მხოლოდ საუბრებია თანამშრომლობის შესახებ“.

შემთხვევით როდი მოვიყვანე სტალინისა და ინგლისის ელჩის საუბრის მნიშვნელოვანი მონაკვეთი. შემდგომშიც, მთელი ომის განმავლობაში სტალინისა და ჩერჩილის საუბრების ჩანაწერებს, სხვადასხვა კონფერენციებისა და შეხვედრების ოქმებს ექნებათ ერთი თავისებურება: სტალინის მკაფიო და ნათელი ხაზი ხრიკებისა და უსარგებლო მცდელობების წინააღმდეგ — გაიყვანონ საქმე ინგლისელების მხარდასაჭერად. უსარგებლო მცდელობებისა იმიტომ, რომ სტალინი დიპლომატიაში აღმოჩნდა უძლიერესი მოთამაშე და შეძლო, მიუხედავად ყოველგვარი ფანდებისა, მანჭვითი ლაპარაკისა, მიეღო ბრიტანეთისაგან სასურველი. ასე იყო, მაგალითად, 1941 წლის 10 ივლისს, როდესაც სტალინი კვლავ ხვდება დიდი ბრიტანეთის ელჩს. ხვდებით სხვაობას ხელშეკრულებას ან შეთანხმებას და დეკლარაციას ან განცხადებას შორის? ვფიქრობ, რომ კი, პირველი გავალდებულებს, მეორე — არაფერს არ გავალდებულებს. სწორედ ამიტომ ბრიტანეთის ელჩი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ხელმოსაწერ ინგლის-საბჭოთა კავშირის დოკუმენტს ჰქონდეს სახელწოდება „შეთანხმებული დეკლარაცია“. მაშინ სტალინმა ხუმრობით შენიშნა: „არ ეშინია განა ინგლისს, რომ რუსები თავად დაამარცხებენ გერმანიას და ეტყვიან ინგლისს, რომ თქვენთან არანაირი საქმე არა გვაქვსო?“ ინგლისის ელჩი იცინის: მხარეებისთვის, ვინაც ასეთ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ასეთი რამის გაკეთება არ შეიძლება. და ხვდება ლოგიკურ ჩიხში — შენ ხომ ახლახან, მოგვიწოდებდი ვუწოდოთ დოკუმენტს არა შეთანხმება, არამედ დეკლარაცია. ამის შემდეგ სტალინი ხელმეორედ ეკითხება, მაინც რა უნდა ვუწოდოთ ხელმოწერილ ქაღალდებს. ბრიტანელი დიპლომატი დაჟინებით ცდილობს ყველაფერი მიიყვანოს არაფრის მავალდებულებელ ფორმამდე. ცდილობს

გამოძვრეს და ამიტომ ამბობს, რომ დაე ეს იყოს „შეთანხმება დეკლარაციის ფორმით“. ამ დეკლარაციაში იქნება კიდეც ნათქვამია, რომ მხარეებმა დადეს შეთანხმება. სტალინის წინადადებაზე ეწოდოს დოკუმენტს არა დეკლარაცია, არამედ ხელშეკრულება, ელჩი აცხადებს, რომ შეთანხმება თავისი შინაარსით გაციცლებით რთულია. აქვს სხვადასხვა დამატებები, დანართები და ა.შ. და აი, შედეგად, შეიძლება შევიმუშაოთ ასეთი შეთანხმება. ამიტომ სახელწოდების სახით ბრიტანეთის მხარე გთავაზობთ მთელ ორ ვარიანტს: „შეთანხმებული დეკლარაცია“ ან „დეკლარირებული შეთანხმება“.

დეკლარირებული შეთანხმება. პირდაპირ სასაცილოა, მაგრამ სტალინს სიცილისთვის არ სცალია მისი ბრწყინვალე იუმორის მიუხედავად. გერმანელების ჯარები ხომ არღვევენ ჩვენს თავდაცვას, სიტუაცია მეტად სერიოზულია. მხოლოდ შეიძლება გამოვთქვა პატივისცემა სტალინის მხარდაჭერისა და მოთმინებისადმი. ინგლისის ელჩის წინადადებაზე ის უპასუხებს, რომ მიუნხენის გამოცდილებაზე მსოფლიო უკვე დარწმუნდა, რომ დეკლარაციებს არავინ ასრულებს. ამიტომ, შემოთავაზებულმა სახელწოდებამ შეიძლება გამოიწვიოს მსოფლიოში იმის შეგრძნება, რომ სსრ კავშირი და ინგლისი ერთმანეთს არ ენდობიან. მხოლოდ ამის შემდეგ ბრიტანეთის ელჩი იძულებული იყო დათანხმებულიყო სახელწოდებაზე „შეთანხმება“.

ამ საუბრიდან ოთხი დღის შემდეგ მას ხელს აწერენ.

შევაჯამოთ პირველი შედეგები: თითქმის სამი კვირა დასჭირდა სტალინს, რომ ლამის წაერთმია ინგლისელებისთვის თუნდაც რაიმე, რაც ემგვანებოდა ოფიციალურ დოკუმენტს. იმიტომ, რომ შეთანხმების ტექსტში კვლავ არაა არანაირი კონკრეტიკა, რაც ლონდონს სჭირდება.

შეთანხმება სსრ კავშირის მთავრობასა და შეერთებულ სამეფოში მისი უდიდებულესობის მთავრობას შორის ერთობლივი შეთანხმების შესახებ გერმანიის წინააღმდეგ ომში 1941 წლის 12 ივლისი

სსრ კავშირის მთავრობამ და შეერთებულ სამეფოში მისი უდიდებულესობის მთავრობამ დადეს ეს შეთანხმება და აწარმოებენ დეკლარირებას შემდეგის შესახებ:

1. ორივე მთავრობა ურთიერთგაგებით კისრულობენ ვალდებულებას, გაუწიონ ერთმანეთს დახმარება და ყოველგვარი მხარდაჭერა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ამ ომში.

2. ისინი შემდგომ კისრულობენ ვალდებულებას, რომ ამ ომის გაგრძელებაში არც აწარმოებენ მოლაპარაკებებს, არც დადებენ დროებით ზავს, არც სამშვიდობო მოლაპარაკებას ან სამშვიდობო ხელშეკრულებას, გარდა როგორც ურთიერთშეთანხმებისა“.

ეს შეთანხმება დაიდო ორ ცალად, თითოეული რუსულ და ინგლისურ ენაზე. ორივე ტექსტს აქვს ერთნაირი ძალა.

შეთანხმების ტექსტიდან ჩანს, რომ დიდ ბრიტანეთსა და სსრ კავშირს 1941 წლის ივლისში მოკავშირეები შეიძლება ეწოდოს მხოლოდ პირობითად. მაგრამ მთავარს სტალინი აღწევს: ლონდონი ხელს აწერს დოკუმენტს, რომელშიც კისრულობს ვალდებულებას, რომ არ მოაწეროს ხელი სეპარატისტულ სამშვიდობო ხელშეკრულებას ჰიტლერთან. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ სსრ კავშირი იწყებს კიდევ უფრო ენერგიულად „წასწიოს წინ“ ინგლისელი კოლეგები ნამდვილ საბრძოლო მოქმედებებში გერმანიის წინააღმდეგ. 1941 წლის 15 ივლისს მოლოტოვი ელჩ კრიპსთან საუბარში სთავაზობს ინგლისელებს დაამუშაონ და განახორციელონ გერმანელებისგან ნორვეგიის გათავისუფლების ოპერაცია. ბრიტანეთის ელჩი ზრდილობიანად ჰპირდება „მიიტანოს თავის საგარეო საქმეთა სამინისტრომდე ეს წინადადებანი“. ესმოდა რა, რომ ასე შეიძლება პრაქტიკულად გაგრძელდეს უსასრულობამდე, რომ ინგლისელებს წლების განმავლობაში შეუძლიათ აწარმოონ „ინფორმირება“, „თათბირები“, „აწონ-დაწონონ“ ყველაფერი დადებითად და უარყოფითად, 1941 წლის 18 ივლისს სტალინი წერს წერილს ჩერჩილს. მასში ის მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო მდგომარეობა ისევე, როგორც დიდი ბრიტანეთისა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა, თუ შეიქმნებოდა მეორე ფრონტი ჰიტლერის წინააღმდეგ დასავლეთში (ჩრდილოეთი საფრანგეთი) და ჩრდილოეთში (არქტიკა). ასეთი ფრონტის შექმნა იოლია სწორედ ახლა — როდესაც ნაცისტების მთელი ძალები მიმართულია რუსებთან ბრძოლისაკენ. 1941 წლის 19 ივლისს ჩერჩილი ღებულობს ივან მაისკის, ღებულობს სტალინის წერილს. წერილის წაკითხვის შემდეგ ჩერჩილი სსრ კავშირის ელჩს ეუბნება, რომ საფრანგეთში გადასხმის წინააღმდეგია, თუმცა დიდ იმედებს ამყარებს გერმანიის დაბომბვებზე. მეტად დამახასიათებელია მაისკის ფრაზა მოსკოვში გაგზავნილ დეპეშაში: „მე ვაცნობე ჩერჩილს საჰაერო სამინისტროს უარის შესახებ — მოგვყიდოს თვითმფრინავები საერთოდ და ვთხოვე ჩარეულიყო ამ საქმეში... პარალელურად შევეკითხე პრემიერს, ხომ არ შეეძლოთ ინგლისელებს გადმოესროლათ სსრ კავშირში თვითმფრინავების ცნობილი რაოდენობა ახლო აღმოსავლეთიდან? ცხადია, პასუხი ჩემს შეკითხვაზე ვერ მივიღე“. ლონდონური ნისლი ბოლქვებად შემოდიოდა ინგლისის პოლიტიკაში. რასაც ბრიტანელები აკეთებდნენ 1941 წლის ზაფხულში, ოდესღაც ერთ-ერთ თავის იუმორესკაში წარმოგვიჩინა არკადი რაიკინმა. პასუხების ნაცვლად კონკრეტულ შეკითხვებზე რაიკინის გმირი საპასუხოდ აგზავნიდა დეპეშებს, რომლებიც აღსავსე იყო არაფრისმთქმელი ფრაზებით, ამგვარსავე მანევრში პასუხობს ლონდონი სტალინისა და მოლოტოვის ყველა კონკრეტულ შეკითხვაზე. კვლავ ლამაზი ფრაზები: „ყველაფერი გონივრული და ეფექტური, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ თქვენ დასახმარებლად, იქნება გაკეთებული“.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 134

ნატოს მიერ სამხრეთ კავკასიაში მიღწეული წარმატებები არ უნდა დაიკარგოს!!!

მასალაში, რომელიც აშშ-ის „საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტმა“ (Foreign Policy Research Institute - FPRI) გამოაქვეყნა, გაანალიზებულია სამხრეთ კავკასიაში შექმნილი სიტუაცია, ნატოს როლი და ინტერესები რეგიონში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ალიანსის თანამშრომლობის განმტკიცების გზები და პერსპექტივა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ვრცელი გამოკვლევის მთავარ შინაარსს:

ერთი თვის წინათ, მაისში გამართულ ნატოს სამიტზე ყურადღება მრავალ საკითხს დაეთმო, მათ შორის თავდაცვის ხარჯებს, რუსეთთან ურთიერთობას („დიალოგ-შეკავების“ პრინციპით), მაგრამ თითქმის არაფერი არ თქმულა ნატოს როლზე სამხრეთ კავკასიაში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის სამხრეთ კავკასია საკმაოდ რთულ რეგიონს წარმოადგენს, იქ არსებული მრავალრიცხოვანი კონფლიქტებითა და რუსეთის გავლენებით. ბალტიისპირა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ერთმანეთთან მტკიცე სოლიდარობისა და თანამშრომლობის მაღალი დონე აქვთ (რაც მათ ნატოში გაწევრიანებაშიც დაეხმარა), ასევე ბალკანეთთან შედარებით, რომელიც რუსეთისგან დაშორებულია და იქაურ ქვეყნებზე მოსკოვს პირდაპირი ზეწოლის შესაძლებლობა არ აქვს, სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით სიტუაცია უფრო რთულია: სომხეთი და აზერბაიჯანი, მთიანი ყარაბაღის გამო, ერთმანეთთან კონფლიქტს აგრძელებენ. მათ შორის არანაირი თანამშრომლობა არ არსებობს, რუსეთი კი მშვენივრად სარგებლობს შექმნილი ვითარებით და ორივე ქვეყანაზე გავლენას ახდენს: ერევნისათვის მოსკოვი ერთადერთი იმედი და მოკავშირეა (აზერბაიჯანთურქეთთან მიმართებით), ბაქოსათვის კი – იმედი ერევანზე ზეწოლის განსახორციელებლად (მცირედ, მაგრამ მაინც).

საქართველო რუსეთს მტრად მიიჩნევს და თვლის, რომ კრემლის პოლიტიკა მისთვის სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს. საერთო ჯამში ეს ფაქტორები ნატოს არ აძლევს შესაძლებლობებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან სრულყოფილი თანამშრომლობისათვის.

როგორ ჩავაბათ კონფლიქტური რეგიონი თანამშრომლობაში?

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ერთიანობისა და თანამშრომლობის არარსებობა გავლენას ახდენს მათ ურთიერთობაზეც ნატოსთან: მაშინ როცა საქართველოს საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ორიენტირებულია ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე (თბილისისთვის ნატოში გაწევრიანება ამ პოლიტიკის კულმინაციაა), არც აზერბაიჯანი და მით უმეტეს სომხეთი არ არიან დაინტერესებული ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანებით. იბადება კითხვა: მაშ როგორ უნდა იქნეს ჩაბმული რეგიონი ნატოსთან თანამშრომლობაში? ერთ-ერთი მეთოდი შეიძლება იყოს დახმარების გაწევა თანამშრომლობის გაფართოების მიზნით, მაგრამ სამხრეთ კავკასიისათვის ამ მეთოდის ეფექტურობა მცირე იქნება: აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფრონტაცია იმდენად ღრმა და ისტორიულია, რომ მათ შორის დაპირისპირებას ვერანაირი დახმარება ვერ უშველის. კიდევ ერთი შესაძლებლობა – ნატო საერთოდ გამოვიდეს რეგიონიდან, სანამ იქ სიტუაცია არ დარეგულირდება რუსეთის გეოპოლიტიკური ყოფნის სიმძიმის შედეგად. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოგრაფიულ სიახლოვეს ევროპასთან, მის მნიშვნელობას ევროპა-აზიის ხიდისა და ენერგეტიკული დერეფნის როლის შესრულებაში, აგრეთვე იმის საფრთხეს, რომ კავკასიურმა კონფლიქტებმა შეიძლება მთლიანად შავი ზღვის ქვეყნებში დესტაბილიზაცია გაავრცელოს (მათ შორის – ნატოს წევრებშიც), ალიანსი სამხრეთ კავკასიიდან ვერ გამოვა და მის იგნორირებას ვერ მოახდენს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატო ძირითადად საქართველოზე კონცენტრირდა, თუმცა გარკვეულ ყურადღებას აქცევდა სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც. საქართველოსთან თანამშრომლობა „ანაზღაურდა“ ქართველი სამხედრო მოსამსახურეების აქტიურ ჩართვაში იმ სამხედრო-სამშვიდობო მისიებში, რომლებიც ნატოსა და აშშ-ის ეგიდით ჯერ კოსოვოსა და ერაყში განხორციელდა, ამჟამად კი ავღანეთშიც მიმდინარეობს.

ნატოს მისიებში მონაწილეობის გარდა, საქართველოს ევროატლანტიკური სწრაფვა ბოლო 15 წლის განმავლობაში შთამბეჭდავი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებაშიც გამოიხატა. კლეპტოკრატიული მთავრობის მქონე „შეუმდგარი სახელმწიფოდან“ საქართველო საპარლამენტო დემოკრატიის მქონე სახელმწიფოდ გარდაიქმნა (მართალია, ბევრი რამ იდეალური არაა, მაგრამ მაინც). ქართული დემოკრატიის განვითარება იმითაც დასტურდება, რომ საქართველომ პოსტსაბჭოთა სივრცეში (ბალტიისპირეთის გამოკლებით) ერთ-ერთმა პირველმა განახორციელა ხელისუფლების კონსტიტუციური, მშვიდობიანი ცვლა; განვითარება გამოიხატა ეკონომიკური ტრანსფორმაციაშიც და კორუფციასთან ბრძოლაშიც. ასეთი აქტიური ძალისხმევის შედეგად საქართველომ ეკონომიკური თავისუფლებისა და გამჭვირვალობის გლობალურ ინდექსში ერთ-ერთი ბოლო ადგილიდან მოწინავე ადგილზე გადაინაცვლა.

მაგრამ იმის გამო, რომ ამჟამად ნატო სხვა პრობლემებითაა დაკავებული, სამხრეთ კავკასიაში მიღწეული წარმატებები შეიძლება დაიკარგოს. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა ნატოსა და აშშ-ის ურთიერთდამოკიდებულება. აშშ თავის ევროპელ პარტნიორებს ხშირად აკრიტიკებს, განსაკუთრებით სამხედრო ბიუჯეტის მოცულობასთან დაკავშირებით. მაგრამ იმ დროს, როცა ნატოს ევროპელი წევრები საბოლოოდ დათანხმდნენ სამხედრო ბიუჯეტის გადიდებას და „ისლამურ სახელმწიფოს“ მიმართ ბრძოლის გააქტიურებას, სწორედ იმ დროს შეერთებულმა შტატებმა საპასუხო ნაბიჯები არ გადადგა. პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აშკარად არ წყალობს ნატოს წესდების მე-5 მუხლს, მიუხედავად მისი მრჩევლების განცხადებებისა – ამერიკის პოზიცია უცვლელიაო. 25-26 მაისს, ნატოს სამიტის დროს, რიგმა პოლიტიკოსებმა, მათ შორის ფაბრის პოტიემ და ალექსანდრე ვერშბოუმ აშშ-სა და ევროპას ვალდებულებების შესრულებისაკენ მოუწოდეს და გააფრთხილეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ერთმანეთისადმი ეჭვები შენარჩუნდებოდა, ამერიკაც და ევროპაც საკუთარ შიდა პრობლემებში ჩაიკეტებოდა. სამწუხაროდ, ურთიერთობების „გადატვირთვა“ არ მოხდა. სწორედ ამიტომაც განაცხადა ანგელა მერკელმა სამიტის შემდეგ, რომ ამიერიდან „ევროპა მთლიანად სხვის იმედზე აღარ უნდა იყოსო“.

სად და რაში შეუძლია ნატოს დახმარების გაწევა

ვფიძრობთ, აუცილებელია. გადაიდგას სამი ნაბიჯი, რომელთა მეშვეობით შეიძლება მოხდეს რეგიონის სტაბილიზება და ნატოს ინტერესების დაცვა, თანაც ალიანსის წევრების მცირე დანახარჯებით.

> **პირველი – ჩრდილოატლანტიკურმა ბლოკმა საქართველოსთან პრიორიტეტული ურთიერთობა უნდა გააგრძელოს, იმავდროულად შეინარჩუნოს კონტაქტები სომხეთთან და აზერბაიჯანთან. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ საქართველოს ევროატლანტიკური გზა ყვავილებით არ ყოფილა მოფენილი: ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, მართალია, გრძელვადიან პერსპექტივაში მოგებას მოიტანს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მთელი ხარჯები და სიმძიმე ქვეყნის მოსახლეობას დააწვა მხრებზე. ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მზად არიან მოითმინონ და შეურიგდნენ სიძნელეებს ევროატლანტიკურ საზოგადოებაში ინტეგრირების გზაზე.**

ეკონომიკური და სოციალური სიძნელეების გარდა, რომელიც ევროატლანტიკური კურსითაა განპირობებული, საქართველო იძულებულია სამხედრო ხარჯებიც გაზარდოს. თბილისი ინარჩუნებს სამშვიდობო მისიებში თავისი სამხედრო მოსამსახურეების საკმაოდ მნიშვნელოვან რაოდენობას და იმავდროულად რუსეთის მუქარისა და საფრთხის წინაშეც დგება, ანუ საქართველო გრძნობს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის რისკებს. ასეთი რისკი ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში გამოვლინდა, როცა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის გამო რუსეთსა და საქართველოს შორის ომი მოხდა. შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ აგვისტოს ომში ქართული არმიის 20%-მა მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან ჯარისკაცები ერაყში იმყოფებოდნენ.

2008 წლის აპრილში, ბუქრესტის სამიტზე მიღებულ კომუნიკეში ნატომ ღიად განაცხადა, რომ საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები გახდებოდნენ. ჯერჯერობით ნატო მისი შესრულებისთვის მზად არ არის, ანუ დაპირება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. აშშ-ის გულგრილი პოზიცია კოლექტიური უსაფრთხოების დაცვის პრინციპის მიმართ ნატოს ავტორიტეტს ლახავს და არასტაბილურობას აძლიერებს. ალიანსმა უნდა დაადასტუროს 2008 წელს აღებული ვალდებულება ყოველი მსხვილი სამიტის დროს და თბილისს მისცეს იმ ამოცანების კონკრეტული ჩამონათვალი, რომლის შესრულების შემდეგ საქართველო ნატოში იქნება მიღებული.

მეორე ნაბიჯი, რომელიც ნატომ უნდა გადადგას – ჩართოს სამხრეთ კავკასია „დაიშ“-ის (ისლამური სახელმწიფოს“) გასანადგურებლად მიმართულ კამპანიაში. სხვათა შორის, სამხრეთ კავკასია მსოფლიოს ერთადერთი რეგიონია, რომელიც ერთდროულად ესაზღვრება ნატოს, რუსეთს და ახლო აღმოსავლეთს. შესაბამისად, მას შეუძლია უნიკალური როლი შეასრულოს საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. სამხრეთ კავკასიის ინტეგრირება ანტიტერორისტულ კამპანიაში ხელს შეუწყობს რეგიონის სტაბილურობას და ნატოს ავტორიტეტის ამაღლებას. რამდენადაც ერაყში და სირიაში „დაიშ“-ის მხარეზე კავკასიიდან (ანუ რუსეთიდან, საქართველოდან და აზერბაიჯანიდან) წასული მოქალაქეებიც იბრძვიან, ყველა ეს სახელმწიფო შეშფოთებულია ბოევიკების უკან დაბრუნებით. თუ ნატო მათ ამ საკითხში დაეხმარება, რეგიონში სტაბილიზაცია მოხდება და სამივე სახელმწიფოს თანამშრომლობის იშვიათი შანსი მიეცემათ.

მესამე – ნატოს შეუძლია ცალკე სპეციალური წარმომადგენელი დანიშნოს მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის. დღევანდელი წარმომადგენელი დაკავებულია როგორც სამხრეთკავკასიური, ასევე ცენტრალურაზიური საკითხებით და ეს იმის მიუხედავად, რომ ამ ორ რეგიონს ნატოსთან სრულიად სხვადასხვა დონის ურთიერთობა აქვთ. ფაქტია, რომ სამხრეთ კავკასია ნატოს წევრს – თურქეთს ესაზღვრება და ამ რეგიონში მდებარეობს ქვეყანა (საქართველო), რომელიც სამომავლოდ ალიანსის წევრი გახდება. მართალია, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებიც მნიშვნელოვანია ნატოსთვის (ავღანური მისიის გამო), მაგრამ ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ისინი ალიანსისაგან შორს მდებარეობენ და არცერთი მათგანი ნატოში მიღების კანდიდატს არ წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიაში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა იმის სიგნალი იქნება, რომ ალიანსი სერიოზულად უყურებს თავის როლს რეგიონში.

არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯი ძვირად ღირებული არაა, დიდ ფინანსურ და მატერიალურ ხარჯებს არ მოითხოვს. იმავდროულად ისინი ერთობლიობაში იმის მაცნენი იქნებიან, რომ ნატო სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიმართ ინტერესს არ კარგავს. ეს ნაბიჯები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის „ღია კარის“ პოლიტიკას ახალ ლეგიტიმურობას შესძენს.

„FPRI-Foreign Policy Research Institute“ (აშშ)

პენტაგონი ფხენიანის ექსპერიმენტს გამოეხმაურა

აშშ-ს ჩრდილოეთ კორეის ბალისტიკური რაკეტებისგან თავდაცვა შეუძლია. ამის შესახებ პენტაგონის პრესმდივანმა ჯეფ დევისმა განაცხადა. მისივე თქმით, ამერიკულ სისტემებს კონტინენტშორისი ბალისტიკური რაკეტების აღმოჩენა და განადგურება შეუძლია. ბოლოს ფხენიანმა ბალისტიკური რაკეტა 4 ივლისს გამოსცადა. რაკეტა იაპონიის ზღვაში ჩავარდა.

ყატარი იზოლაციაში რჩება

ამის შესახებ ქაიროში გამართული შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი. შეხვედრის მონაწილეებმა ღიად განაცხადეს, რომ ულტიმატუმის შეუსრულებლობის გამო ყატარს სანქციები არ მოეხსნება და კვლავ ბლოკადაში დარჩება. 13-პუნქტიანი მოთხოვნების სია არაბულმა ქვეყნებმა დოჰას გასულ თვეში გადასცეს, თუმცა მოთხოვნების შესრულებაზე ყატარის ხელისუფლებამ უარი თქვა.

ჩიკაგოში ბანდები გააქტიურდნენ

ბოლო 4 დღის განმავლობაში ჩიკაგოში სროლების შედეგად 100-მდე ადამიანი დაშავდა. არიან გარდაცვლილებიც. განსაკუთრებით ადგილობრივი ბანდები 4 ივლისს, ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს გააქტიურდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნით პრობლემურ რაიონებში დამატებით ათასი პოლიციელი შეიყვანეს. პრეზიდენტმა ტრამპმა კი ჩიკაგოში გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები გაგზავნა.



...სადაც დატვირთვა მეტია!

სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, **რომ ამა თუ იმ ინტენსივობის ზურგის ტკივილებს მოსახლეობის 80 პროცენტი უჩივის(!), დანარჩენ 20 პროცენტს კი მისი რეციდივული, ქრონიკული ხასიათი აქვს.**

ამასთან აღსანიშნავია, რომ სპეციალისტების განცხადებით, ზურგის ტკივილების დროს ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა ერთსა და იმავე შეცდომას სჩადის: ტკივილს იხსნის, მის გამომწვევ მიზეზს კი უყურადღებოდ ტოვებს.

როგორც წესი, ზურგის ტკივილების მიზეზია ან **ოსტეოქონდროზი**, ან **სპონდილოართროზი**. პირველ მათგანს იწვევს ხერხემალზე ჭარბი დატვირთვები, ასევე დიდი ხნის მანძილზე ერთსა და იმავე პოზაში ყოფნა, რაც დიდადაა დამახასიათებელი მჯდომარე პროფესიის ხალხისთვის.

მეორე სნეულებას იწვევს ხერხემლის მალებში დეგენერაციული ცვლილებები, რაც მალებშუა დისკოების დაზიანების პარალელურად წარმოიშვება. ამ შემთხვევაშიც, პირველ ყოვლისა, ხრტილის ქსოვილი ზიანდება, რასაც მეტად არასასურველი შედეგები და მთლიანი დისკომფორტი ახლავს.

ყველაზე ხშირად ტკივილები ხერხემლის კისრისა და წელის არეში იწყება, ანუ იქ, სადაც დატვირთვა მეტია. თავდაპირველად ტკივილს დროებითი ხასიათი აქვს ხოლმე, მაგრამ თუკი მათ ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევთ, ყოველ შეტევაზე სიმძაფრე მოიმატებს და შესაძლოა, უკვე ნებისმიერ ფიზიკურ მოქმედებაზე წარმოიშვას, თან დიდი დისკომფორტი შეგიქმნათ. მეორე მეტად მრისხანე გამოვლინებაა ნეიროგენური სიკოჭლე, რა დროსაც ტკივილი ერთ ან ორივე ფეხში წარმოიშვება.

მოვლენათა ასეთი განვითარებისთვის თავის ასარიდებლად, ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების მიღების შემდეგ, საჭიროა თავად ტკივილის სინდრომის უშუალო წყაროზე მოქმედი მედიკამენტების მიღება. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ქონდროპროტექტორებზე, რომლებიც დადებით ზეგავლენას ახდენენ ძვლოვან და ხრტილოვან ქსოვილებში მიმოცვლით პროცესებზე, ანელებენ ავადმყოფობების განვითარებას, ზოგ შემთხვევაში კი აღადგენენ კიდეც უკვე დაზიანებულ ხრტილოვან ქსოვილს. თანაც მათი კურსობრივი მიღების დაწყება დროულადაა საჭირო, ხოლო მიღწეული შედეგის დამაგრება შეიძლება, ფიზიოთერაპევტული პროცედურებით, მასაჟით, სამკურნალო ფიზკულტურით და ზურგისთვის მავნე ჩვევებისგან გადაჩვევით.

მოამზადა
ლალი ხუნდაძემ

◎ ეს საინტერესოა!

გენებზე უფრო მნიშვნელოვანი



თითოეული ადამიანის **იმუნური სისტემა უნიკალურია და დიდადაა დამოკიდებული მისი ცხოვრების პირობებსა და გარემოზე, — აცხადებენ ამერიკელი მეცნიერები.**

ვისთან, როგორ და სად ვცხოვრობთ — აი, თურმე, ჩვენი იმუნიტეტის „ნაგებობის აგურები“. აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანების იმუნურ სისტემებს, ვინც ერთნაირ პირობებში ცხოვრობს — ერთი ჰაერით სუნთქავენ, ერთნაირად იკვებებიან, სტრესებს ერთნაირად განიცდიან და ა.შ. — ბევრი საერთო ნიშანი აქვთ.

— ეს ძალიან კარგია, რომ გარემოს გაცილებით მეტი ზეგავლენა აქვს იმუნურ სისტემაზე, ვიდრე გენეტიკას, — კმაყოფილებით აღნიშნავენ მკვლევარები, — რადგან ყოფის პირობების გაუმჯობესება ყოველთვის შეგვიძლია, გენეტიკური მემკვიდრეობისა კი — არა.

ავადმყოფობები და... ეკონომიკა

ფრანგ მეცნიერთა დაკვირვებით, ყველაზე სწრაფად ეპიდემიები... ეკონომიკური ბუმების დროს ვრცელდება, რადგან ამ დროს ადამიანების დიდი მასები უფრო მეტსაც მოგზაურობენ და უფრო ინტენსიურადაც ურთიერთობენ.

მე-20 საუკუნის მიწურულს დაგროვილ მონაცემთა უნიკალური ბაზის ანალიზის შედეგად, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და სხვადასხვა მხარეში სამი ვირუსული ინფექციის — გრიპის, გასტროენტერიტისა და ჩუტყვავილას გავრცელებას ეხება, დადგინდა, რომ ეპიდემიების დროს სკოლების დახურვა ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როცა ავადმყოფობის საინკუბაციო პერიოდი საკმარისად ხანმოკლეა. სხვა შემთხვევაში, გაცილებით უფრო ეფექტიანი ამ დროს ზამთრის სასკოლო არდადეგების გახანგრძლივებაა.

გადაადგილებული „ატლანტის“ მომაკვდინებელი საფრთხე

დაუჯერებელი ამბავია, **მაგრამ ექიმები ირწმუნებიან, რომ დღესდღეობით საკუთარი კისერი ონკოლოგიაზე... სამჯერ მეტ კაცს კლავს! ამის თქმის საშუალებას მათ მრავალი ყოფილი პაციენტი აძლევთ, ვინც უმძიმეს ჰიპერტონიასა (მაღალი არტერიული წნევა — რედ.) და ოსტეოქონდროზთან ერთად ბევრი სხვა სნეულება... კისრის სწორად ტრიალით მოიცილა.**

კისრის „სწორად“ ტრიალს საგანგებოდ ხაზი შემთხვევით არ გავუსვით. იმისათვის, რომ ამ მოქმედებას სასურველი შედეგი მოჰყვეს, ექიმმა-რეაბილიტოლოგმა **ალექსანდრე შიშონინმა** „კისერ-ცერებრალური თერაპიის“ უნიკალური მეთოდიკა შეიმუშავა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, სარეაბილიტაციო მოწყობილობებზე სპეციალური ვარჯიშების კომპლექსი და ინდივიდუალური თერმოდინამიური კვება ემატება.

—ასაკის მატებასთან ერთად, კისრის მალები ადგილმდებარეობას იცვლიან (ვითარდება ოსტეოქონდროზი) და თავის ტვინის მკვებავ სისხლძარღვებს კეტავენ, — ამბობს სწავლული მედიკოსი. — შედეგად, ტვინი ნაკლებ ჟანგბადს იღებს და გულს შეკუმშვების ძალისა და სიხშირის მომატების განკარგულებას აძლევს. ამის შედეგად წნევა იზრდება და ტვინსაც სისხლი მეტად მიეწოდება. იმ შემთხვევაში, თუკი გული სუსტია და გაძლიერებულ რეჟიმში ვერ მუშაობს, ტვინი უფრო „დაბალი რანგის“ ორგანოებს — სისხლძარღვ კაპილარებს — აძლევს განკარგულებას: „შეიკუმშეთ!“ ამიტომაცაა, რომ ჰიპერტონიკებს ხშირად ცივი ფეხები აქვთ. მაგრამ თუ ტვინს კაპილარებიც არ ემორჩილებიან, იგი თირკმლებს უტევს: სისტემაში წნევის დონის დასაჭერად „უკრძალავს“ ორგანიზმიდან წყლის „გაყვანას“. ჟანგბადური შიმშილის მატების კვალდაკვალ (ოსტეოქონდროზს ხომ არავინ მკურნალობს!) იცვლება სისხლის ბიოქიმიური შემადგენლობა და იმისათვის, რომ ტვინმა იკვებოს (რაც აუცილებელია!), გლუკოზის შემცველობაც მატულობს, ხოლო, როცა ყველა რეზერვი ამოწურულია, კაცს ინსულტი მოსდის!

მაგრამ, თუკი კისრის არტერიებსა და ვენებზე ზეწოლას მოვხსნით, წნევა ნორმაში თავისით ჩადგება ყოველგვარი მედიკამენტოზური ჩარევის გარეშეც!

ოსტეოქონდროზი კისერში სტრესული და ტრავმატოლოგიური ფაქტორების დაგროვებასთანაა დაკავშირებული. ნებისმიერ ნერვულ სტრესს კისრის კუნთების დაძაბულობა მოსდევს — დაცვას მხრებში თავის ჩაწევით ვცდილობთ. ეს რეაქცია ევოლუციის გზაზე ჩამოგვიყალიბდა, ვინაიდან მტაცებელი ნადავლს მუდამ კისერში წაეტანება ხოლმე. ამდენად, სტრესის დროს კისრისა და მკერდის განყოფილების კუნთების სპაზმი წარმოიშვება, ირღვევა სისხლის მიკროცირკულაცია და მიმდებარე ქსოვილების კვება, მალებშორისი დისკოები და ბმები სუსტდება, ამიტომაც ისინი სტაბილობას კარგავენ და სისხლძარღვებს უჭერენ. ასევე გამუდმებით გროვდება მიკროტრავმებიც. ალექსანდრე შიშონინისა და მისი კოლეგების მიერ შემუშავებული ზუსტი ულტრაბგერითი გამოსხივებითი მეთოდიკით შესაძლებელია იმის დანახვა, თუ სად და რამდენადაა „გაჭყლეტილი“ არტერიები. შემთხვევათა უმრავლესობაში ყველა უბედურების სათავეა ხერხემლის პირველი მალა — „ატლანტი“.

საქმე ისაა, რომ სწორედ ამ მალაზე მოდის მაქსიმალური დატვირთვა, რადგან სწორედ ისაა უშუალოდ დაკავშირებული თავის ქალასთან, ატრიალებს მას და, ასაკთან ერთად, ირყევა. **ჰიპერტონიკების 70 პროცენტს ტიპური ჩივილები აქვს: გაღვიძებისას ისინი თავს საშინლად გრძნობენ, დილის 5 საათზე უკვე მაღალი წნევა აქვთ, მაგრამ რომ ადგებიან და გაივლ-გამოივლიან, შვებას გრძნობენ.** ამის მექანიზმი ასეთია: როცა ადამიანს სძინავს, მით უმეტეს თავი მაღლა თუ უდევს, ატლანტი ადგილს იცვლის და სისხლძარღვებს უჭერს, ხოლო როცა კაცი სიარულს იწყებს, ვითარება რამდენადმე უმჯობესდება. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ვერტიკალური მდგომარეობის მიღების შემდეგ ატლანტის ქვეამოვარდნა არ გადის და სწორედ მაშინ დგება ჰიპერტონული კრიზი ან ინსულტი.

იმაზე ფიქრი, თუ როგორ შეიძლება ხერხემლის კისრის განყოფილების მალებშუა დისკოების თიაქრებიანი პაციენტების შველა, მედიკოსებმა ჯერ კიდევ 15 წლის წინათ დაიწყეს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ აქ თხელი, რთული სტრუქტურაა, ამიტომაც მანუალური თერაპევტის ხელის ერთი არასწორი მოძრაობის შედეგად კაცი შეიძლება სამუდამოდ ინვალიდად დარჩეს.

— მე რბილი მეთოდიკის დამუშავება შევძელი, რომელიც კუნთების შებოჭვის ადგილებში ნელ-ნელა შეღწევის, მალებშორის ბლოკირების და ტკივილის სინდრომის მოხსნის შესაძლებლობას იძლევა, — ამბობს ალექსანდრე შიშონინი. — ამას სარეაბილიტაციო ხელსაწყოებზე მუშაობა ემატება. შედეგი კი ის იყო, რომ კისრის ურთულესი თიაქრების მქონე პაციენტებმა გამოჯანმრთელება დაიწყეს, ისინი, უმეტესწილად, ასაკოვანი ხალხია. ამიტომაც ჰიპერტონიის აბების მოხსნა დავუწყე.

დროთა განმავლობაში დავრწმუნდით: **დაავადება სახელწოდებით „ჰიპერტონია“ არ არსებობს, ეს, როგორც წესი, კისრის ოსტეოქონდროზის შედეგია**. ჰიპერტონიის შემთხვევათა მხოლოდ 5 პროცენტია განპირობებული სხვადასხვა სახეობის სიმსივნეებით. არადა, ადამიანები წლების მანძილზე იღებენ აბებს, მათი დოზები გამუდმებით იზრდება. **ეს პრეპარატები კი უაღრესად მომწამლავია გულისთვის, თავის ტვინისთვის, თირკმლებისთვის.** არადა, ამისგან თავის ასარიდებლად საჭიროა მხოლოდ ატლანტის, უფრო იშვიათად კისრის სხვა მალის ბლოკირების მოხსნა!

შენიშვნა: თუ როგორ უნდა შესრულდეს ექიმ ა. შიშონინის კისრის ვარჯიში, ამის ნახვა ყველა დაინტერესებულს საიტზე aif.ru შეუძლია.

ოღონდ აუცილებლად გაითვალისწინეთ ექიმის რჩევაც:

— თუკი ვარჯიშის დაწყებიდან ერთ თვეში მდგომარეობა საგრძნობლად არ გამოგიკეთდებათ, უმჯობესია, დახმარებისთვის პროფესიონალს მიმართოთ! სავსებით შესაძლებელია, რომ ხერხემლის მალა ან სისხლძარღვი არატიპურ მდგომარეობას იკავებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვარჯიშის უნივერსალური ვარიანტი უვარგისია.

რაც შეეხება დიეტას, მისი დაცვა-არდაცვა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი რეზერვი გახარჯა ორგანიზმმა თავის ტვინის სისხლით კვებაში დარღვევებთან საბრძოლველად. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ხერხემლის მალების გადაადგილების გარდა, მდგომარეობას სისხლძარღვებზე ათეროსკლეროზული ბალთებიც ართულებენ. ამ შემთხვევაში კი, სისხლის ბიოქიმიური ანალიზის საფუძველზე, საჭიროა კვების რეჟიმის შერჩევა.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

◎ საფეხბურთო მოზაიკა

თამაში ჩვენც შეგვძლებია

გაფუჭებული **საქმიდან სათანადო დასკვნების გამოტანა წარმატებათა საწინდარია. სასიამოვნოა, რომ ეს აქსიომა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმაც დაადასტურა.**

საქართველო – შვედეთი 2:1

პირველი ტაიმი – 2:0

შეგახსენებთ, რომ ევრო-2017-ის ფინალური რაუნდის „ა“ ჯგუფის სასტარტო შეხვედრაში პორტუგალიელებთან იტალიელმა მსაჯმა გვიმუხთლა და სწორედ მისი იაღლიშის გამოსწორება მოგვიხდა სკანდინავიელებთან. საბედნიეროდ, გიორგი ყიფიანმა ბიჭები ფსიქოლოგიურად სათანადოდ დაქოქა, რასაც ჭაბუკ „ჯვაროსანთა“ სამედიცინო შტაბის პროფესიონალიზმიც დაემატა, რომელმაც ორიოდე დღეში მოახერხა მწყობრში გუნდის ტრავმირებული ლიდერების კოხრეიძისა და ჭანკვეტაძის დაბრუნება.

სიმბოლურია, რომ ყოფნა-არყოფნის მატჩის ბედი სწორედ აღნიშნულმა დუეტმა გადაწყვიტა – თამაშის დებიუტში კოხრეიძემ სტუმართა მცველის

საჩუქარი შეირგო, ხოლო შესვენების წინ მისმა პარტნიორმა დაასრულა ელვისებური სოლო გარღვევა ზუსტი დარტყმით. საერთოდ, პირველი ნახევარი მასპინძელთა ბენეფისად იქცა და იმავე ჭანკვეტაძესა და არაბიძეს ანგარიშის გაზრდა მართებდათ, მაგრამ...

როგორც ფეხბურთის დაუწერელი კანონი ღაღადებს, მომენტების განიავებისთვის თამაშის განახლებისთანავე დავისაჯეთ, მაგრამ ამ ეპიზოდს ბრძოლის ხასიათზე არ უმოქმედია – დარჩენილ დროში მეტოქესთან შედარებით მიზანთან უფრო ახლოს ისევ ჩვენ ვიყავით და ღირსეულად მივიყვანეთ საქმე მნიშვნელოვან გამარჯვებამდე.

უკმარისობის გრძნობა მხოლოდ იმან დაგვიტოვა, რომ ანგარიში ვეღარ გავზარდეთ და 8 ივლისს ჯგუფური ეტაპის ფინიშზე ჩეხებთან მხოლოდ მოგება გაგვიხსნის გზას ნახევარფინალისკენ.

პორტუგალია – ჩეხეთი 2:1

სატურნირო მდგომარეობა: პორტუგალია – 6, ჩეხეთი, საქართველო 3-3, შვედეთი – 0 ქულა.

მარადონა ნეაპოლის საპატიო მოქალაქეა

არგენტინის ნაკრებისა და „ნაპოლის“ ლეგენდარული ფეხბურთელი დიეგო მარადონა ნეაპოლის საპატიო მოქალაქე გახდა. ANSA-ს ცნობით, მარადონას ნეაპოლის ცენტრალურ მოედანზე საპატიო მოქალაქეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელსაც ქალაქის მერის ხელმოწერა ამშვენებს, საზეიმო ვითარებაში გადასცეს და ამ ღონისძიებას 10 ათასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. „როგორც იქნა, ნეაპოლის მოქალაქე ვარ და ამისთვის დიდი მადლობა ქალაქის მერს და ყველა ნეაპოლელს“ – თქვა მარადონამ, რომელიც „ნაპოლიში“ 1984-იდან 1991 წლამდე თამაშობდა და 259 მატჩში 115 გოლი გაიტანა.

მორატამ „მანჩესტერთან“ კონტრაქტი შეათანხმა

მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელმა ალვარო მორატამ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. The Guardian-ის ცნობით, მან უკვე აცნობა „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობას, რომ კარიერის „მანჩესტერში“ გაგრძელება უნდა, სადაც ხელფასის სახით ყოველწლიურად 4 მილიონ გირვანქა სტერლინგს (4,5 მილიონი ევრო) მიიღებს. ახლა საქმე კლუბების შეთანხმებაზეა. მადრიდელებმა მორატას ტრანსფერთან დაკავშირებით ერთი წინადადება უკვე უარყვეს (70 მილიონი ევრო), თუმცა, მანჩესტერელები მზად არიან 65,8 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ (75 მილიონი ევრო). „იუნაიტედის“ მთავარ მწვრთნელ ჟოზე მოურინიოს სურს, რომ ტრანსფერი ამერიკულ ტურნეზე გამგზავრებამდე განხორციელდეს.



გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი



ბასილაშვილი უიმბლდონს გამოეთიშა

საქართველოს **ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი უიმბლდონის 1/64-ფინალში ამერიკელ სემ ქუერისთან 4:6, 6:4, 3:6, 3:6 დამარცხდა. შეხვედრა საათსა და 54 წუთს გაგრძელდა.** ნიკას მეტოქის ჩაწოდებების აღება უჭირდა, რაზეც ქუერის 32 ეისი მეტყველებს, ხოლო ბასილაშვილს 6 ეისი ჰქონდა. ქართველ ჩოგბურთელს მთელი შეხვედრის განმავლობაში მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, რომელიც მეორე სეტში ბრეიკად აქცია და სეტიც მოიგო, ქუერიმ კი 11 შესაძლებლობიდან 4 ბრეიკი შეასრულა. უნებლიე შეცდომებიც ნიკას უფრო მეტი ჰქონდა – 30, ქუერის – 16. შეგახსენებთ, ბასილაშვილმა უიმბლდონის პირველ წრეში არგენტინელი კარლოს ბერლოკი 6:4, 7:6, 6:1 დაამარცხა, რითაც 35 000 გირვანქა სტერლინგი და 45 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

როცა განწირული ვიყავით

საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა ნაკრები იტალიის ქალაქ მონტეკატინიში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ქართველებმა ჯგუფურ ეტაპზე ჩეხეთისა და კოლუმბიის ნაკრებები გაანადგურეს და პლეი ოფში გავიდნენ, სადაც მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონსა და ახლაც ტიტულის უპირობო მაძიებელ იტალიის ნაკრებს შეხვდნენ. მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ქართველები ბოლომდე ინარჩუნებდნენ გამარჯვების შანსს, თუმცა, დასკვნით წუთებში შტურმის მოწყობა ვერ მოახერხეს და 15 ქულით – 87:102 დამარცხდნენ. შეგახსენებთ ჩვენი ნაკრების შემადგენლობას: ნოდარ ქორქია (მთავარი მწვრთნელი), გია ბერუაშვილი, გულივერ ახალკაცი, ალექსანდრე ფერიაშვილი, ლევან წულაია, დავით გიორგობიანი, დავით ჩიხლაძე, გია სანაძე, ზურა კობახიძე, ზაზა ღონღაძე, პაატა გურასპაული და ზაზა ცაგარეიშვილი. საქართველოს ნაკრები ახლა საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაერთვება და ოთხეულს მიღმა დარჩენილ გუნდებთან ერთად ტურნირის მე-5 ადგილისთვის იბრძოლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

კირან რიდი ცენტურიონი ლომებთან გახდება

ხვალ **დილით ოკლენდის „იდენ პარკზე“ ახალი ზელანდიის ნაკრები ბრიტანელ და ირლანდიელ ლომებს უმასპინძლებს.** ეს იქნება ზაფხულის ტესტების დახურვის მატჩი და ლომების შანსი ტურნე და სერია გამარჯვებით დასრულონ. შეგახსენებთ, რომ ლომებმა ტურნეს სასტარტო მატჩში „მაორი ოლ ბლექსს“ 32:10 მოუგეს, შემდეგ კი ახალზელანდიელთა ეროვნულ გუნდთან ორი რკენიდან ერთში დამარცხდნენ და მეორეში გაიმარჯვეს – შესაბამისად, 15:30 და 24:21. „ოლ ბლექსთან“ მოგებას ბრიტანელი და ირლანდიელი ლომები ძალიან დიდხანს ელოდნენ – ბოლოს ეს 1993 წლის ტურნეს მსვლელობისას მოახერხეს. ამიტომაცაა, რომ ამჟამინდელი მოგზაურობა ლომებს აქტივში ტურნეს ბოლო შეხვედრის შედეგის მიუხედავად ჩაეთვლებათ. ერთიცაა: „ოლ ბლექსის“ კაპიტანი კირან რიდი მე-100 სანაკრებო მატჩს ჩაატარებს და ცენტურიონი გახდება. ასეა თუ ისე, ამ დიდებული გუნდების მორიგი დაპირისპირება უდიდეს ინტერესს იწვევს.

კობა კობახიძე

◎ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები

დაკიდეთ სველი პირსახოცები

ჯანდაცვის სამინისტრო მოქალაქეებს მაღალი ტემპერატურის დროს რეკომენდაციებს სთავაზობს. ჯანდაცვის სამინისტრო მოქალაქეებს ურჩევს, შეინარჩუნონ სახლში სიგრილე, თავი აარიდონ სიცხეს, შეინარჩუნონ სხეული გრილად და ტენიანად, დაეხმარონ სხვებს. ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს უცვლელად გთავაზობთ:

„შეეცადეთ, საცხოვრებელ გარემოში შეინარჩუნოთ სიგრილე. სახლში ტემპერატურა შეამოწმეთ დილის 08:00 საათიდან 10:00-მდე, 13:00-ზე და ღამით 22:00 საათის შემდეგ. დღისით ოთახის იდეალური ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 32^{0}C, ხოლო ღამით კი — 24^{0}C-ს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისა და 60 წლის ასაკს გადაცილებული ადამიანებისათვის, აგრეთვე მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადებების დიაგნოზი აქვთ. ღამით გააღეთ ფანჯრები და დატოვეთ ღია დილამდე, სანამ გარეთ სიგრილე იქნება (თუ ეს სახიფათო არ არის). დღისით შეამცირეთ სახლში სიცხის შელწევა — დახურეთ ფანჯრები, ჟალუზები და დარაბები, განსაკუთრებით მზის მხარეს. შეძლებისდაგვარად გამორთეთ ელექტრომოწყობილობები და ხელოვნური განათება. მზის მხარეს ჩამოაფარეთ დამჩრდილავი ფარდები, ჟალუზები, დარაბები. ჩამოკიდეთ სველი პირსახოცები, რაც გაგრილებასთან ერთად სახლს დაატენიანებს. თუ სახლში გაქვთ კონდენციონერი, დაკეტეთ კარებები და ფანჯრები, რათა ეფექტურად გამოიყენოთ ელექტროენერგია. ეს აგაცილებთ ქვეყანაში ელექტროენერგიის დეფიციტის საფრთხეს. ვენტილატორი გამოგადგებათ იმ შემთხვევაში თუ ტემპერატურა არ აღემატება 35^{0}C-ს. ხოლო თუ ტემპერატურა აღემატება 35^{0}C-ს, ის ვერ მოგიხსნით სიცხესთან დაკავშირებულ პრობლემებს. მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე.

გადადით ცხელი ოთახიდან გრილში, განსაკუთრებით ღამით. თუ შეუძლებელია სახლში სიგრილის შენარჩუნება, შეეცადეთ დღის 2-3 საათი გაატაროთ გრილ ადგილას (მაგალითად რომელიმე საზოგადოებრივ შენობაში, სადაც ჰაერი კონდენციონერით გრილდება). მოერიდეთ ქუჩაში გასვლას დღის ყველაზე ცხელ პერიოდში. მოერიდეთ მაღალინტენსიურ ფიზიკურ აქტივობას. თუ ეს აუცილებელია, მაშინ მის შეასრულებლად გამოიყენეთ დილით ყველაზე გრილი პერიოდი — 04:00-დან 07:00 საათამდე. არ დატოვოთ ბავშვები და შინაური ცხოველები გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებებში!

მიიღეთ გრილი შხაპი, ან გამოიყენეთ ყინულის პაკეტები, სველი პირსახოცი, და სხვა.

ქუჩაში გასვლისას ატარეთ ნატურალური მასალის, ღია ფერის, თავისუფალი ტანსაცმელი, ფართოფარფლებიანი ქუდი ან კეპი, ან ქოლგა და მზისგან დამცავი სათვალე. იხმარეთ საწოლის მსუბუქი თეთრეული და არავითარი ბალიში, რათა სიცხის დაგროვება აიცილოთ თავიდან. მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე, გარდა ალკოჰოლის, ტკბილი და კოფეინიანი სასმელებისა. საკვები მიიღეთ ხშირად და მცირე ულუფებით. მოერიდეთ ცილის მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტებს.

თუ ჯანმრთელობის პრობლემები გაქვთ:

მედიკამენტი შეინახეთ 25^{0}C-ის ქვემოთ ან მაცივარში (შენახვის წესები წაიკითხეთ ინსტრუქციაში). თუ გაქვთ ქრონიკული დაავადების დიაგნოზი ან ღებულობთ ერთდროულად რამდენიმე მედიკამენტს, მათი დოზისა და მიღების ჯერადობის შესახებ აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

თუ შენ ან სხვას ეძნება ასეთი შეგრძნება:

იგრძენით თავბრუსხვევა, სისუსტე, ფორიაქი, ძლიერი წყურვილი ან თავის ტკივილი, სასწრაფოდ მოთავსდით გრილ ადგილას და გაიზომეთ სხეულის ტემპერატურა. მიიღეთ წყალი ან ხილის ნატურალური წვენი. თუ გაქვთ კუნთების მტკივნეული სპაზმი (განსაკუთრებთ ფეხებში, ხელებში ან მუცელზე), საჭიროა ელექტროლიტების შემცველი ხსნარების მიღება. თუ აღნიშნული სიმპტომები ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს“.

სანთელი

კიდევ ერთი ბერმუხა დააკლდა ვეტერანთა მოძრაობას

წავიდა ჩვენგან დიდი ადამიანური ღირსების მქონე მამაულიშვილი და მეგობარი, სამხედრო ძალების დამსახურებული ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ვაკის რაიონული კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, წითელი ვარსკვლავის, ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი და მრავალი მედლის მფლობელი

შოთა დავითის ძე ვაშაკიძე

ბატონი შოთა დაიბადა 1932 წელს ქ. ლანჩხუთში, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გაწვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ შევიდა ჟიტომირის წითელდროშოვანი საზენიტო-საარტილერიო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ 1964 წელს დაინიშნა თბილისში საჰაერო თავდაცვის საზენიტო-სარაკეტო ბრიგადაში ოცეულის, ასეულის, ხოლო შემდეგ, დივიზიონის მეთაურად. 1991 წელს საქართველოში შექმნილი თავდაცვის სამინისტროში ინიშნება ოპერატიული განყოფილების უფროსად, ხოლო 1993-2000 წლებში მსახურობდა საქართველოს ეროვნული სამხედრო აკადემიის უფროსის მოადგილედ. პენსიაზე გასვლის შემდეგ ინიშნება ვეტერანთა ვაკის რაიონული კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ. იგი გამოირჩეოდა პრინციპულობით, მინდობილი საქმისადმი ერთგულებით და კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა ვეტერანთა მოძრაობაში და საზოგადოებაში. იყო კარგი მეუღლე, კარგი შვილების — დალისა და დავითის მამა, შვილიშვილების — შოთას, გიორგისა და თამარის ბაბუა. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მრავალრიცხოვანი ვეტერანების, მეგობრების, ახლობლებისა და ოჯახის წევრების გულში, ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული, მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი ქართული მიწა.

საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი მშენებლობის უფლებით. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

GEO HOLDING

გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

8 ივლისის ჩათვლით, საქართველოში ძლიერი ნალექი და სეტყვაა მოსალოდნელი

სინოპტიკოსების ცნობით, შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან ჰაერის ცივი მასები გავრცელდა, რამაც ზღვის სანაპირო ზოლში ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი კლება, ძლიერი ქარი, ზღვაზე შტორმი და ნალექები გამოიწვია.

8 ივლისის ჩათვლით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ცივი ჰაერის მასების გავრცელების გამო გრილი ამინდი შენარჩუნდება, მოსალოდნელია ნალექი , ზოგან ძლიერი, ელჭექი, დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი, აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან სეტყვა.

მეუღლე უჩა დალაქიშვილი, შვილები ნანა, კოტე, მაია, მანუჩარი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

მაგული პარმენის ასული ჩხიკვაძე-დალაქიშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 8 VI, 14 სთ. ამბროლაურის რ-ნი სოფ. ჭელიაღელე

თენგიზ ქავთარაძე, თემურ კუჭუხიძე, თენგიზ კუჭუხიძე, როლანდ გაბრიჩიძე, ზაურ ფხალაძე, ამირან ნიკოლეიშვილი სამძიმარს უცხადებენ უჩა დალაქიშვილს მეუღლის

მაგული ჩხიკვაძე-დალაქიშვილის

გარდაცვალების გამო.

ავარია გორი-თბილისის ავტომაგისტრალზე

გორი-თბილისის ავტომაგისტრალზე, სოფელ შავშვებთან მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა მიკროავტობუსს, რომელსაც მგზავრები გადაყავდა.

შედეგად 3 ადამიანი დაშავდა.

მსუბუქი ავტომობილის მძღოლი და მიკროავტობუსის 2 მგზავრი საავადმყოფოშია გადაყვანილი. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თბილისის ზღვაში ავტომობილი ჩავარდა

ავტოავარიის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და ორი დაშავდა. „ოპელის“ მარკის ავტომობილი თბილისის ზღვაში ოთხშაბათს ღამით ჩავარდა.

გარდაცვლილთაგან ერთი რუსეთის მოქალაქე, 55 წლის აბდულა ვაგაპოვია, ის ჩეჩნეთიდან მეგობართან ერთად ჩამოვიდა და ტაქსით გადაადგილდებოდა თბილისის ზღვაზე. გავრცელებული ინფორმაციით, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და თბილისის ზღვის წყალსაცავში გადავარდა.

სამაშველო ჯგუფები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ. ამ დროისთვის ავტომობილი ექსპერტიზაზეა გადაყვანილი.

როგორი იქნება ანაკლიის პორტი?

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ანაკლიის პორტის წინასწარი დიზაინი მთავრობას წარუდგინა. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის დიზაინის მომზადება კიდევ ერთი საკვანძო ეტაპია, რომელიც კონსორციუმმა პორტის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში დაასრულა. პროექტი მოიცავს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პირველი ფაზის დაგეგმარებას, რომელიც დაახლოებით 110 ჰექტარზე გავრცელდება. იგი შედგენილია როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო ნაწილების მშენებლობისთვის; წინასწარი დიზაინის დოკუმენტი ამ ტერიტორიის დაგეგმარების 70%-ს ასახავს.

ანაკლიის პორტის დიზაინის შემუშავებაზე ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ერთად საერთაშორისო კომპანიები „ვან ორდი“ (Van Oord), „როიალ ჰასკონინგი“ (Royal Haskoning DHV) და „მოფატ ენდ ნიკოლი“ (Moffat & Nicol) დაახლოებით 6 თვის განმავლობაში მუშაობდნენ.

დიზაინის წარდგენამდე რამდენიმე დღით ადრე, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ტერმინალ-ოპერატორის გამოვლენის თითქმის ერთწლიანი პროცესი დაასრულა. მან საკონტეინერო ტერმინალის ოპერატორად მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ოპერატორი, წამყვანი ამერიკული კომპანია SSA Marine-ი დაასახელა. პარალელურად მიმდინარეობს გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტის განხილვა, რომელიც კონსორციუმმა 8 ივნისს გამოაქვეყნა.

ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება 2017 წლის მეორე ნახევარში, ხოლო პორტის პირველი ფაზის ამოქმედება 2020 წელს იგეგმება.

სოფელ კოხნარში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

რეგიონებში საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა გრძელდება. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა 45-ე საზოგადოებრივი ცენტრი 5 ივლისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარში გახსნა. საზოგადოებრივი ცენტრის მომსახურებით კოხნარის მოსახლეობასთან ერთად მიმდებარე ბურნათის, წიფნარის, ქვემო და ზემო ხეთის, ნაკადულის, ჩომეთის და სხვა სოფლების 5 000-მდე მოსახლე ისარგებლებს.

ღონისძიებას ესწრებოდა ანტიგუა და ბარბუდას ინფორმაციის, ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიის მინისტრი მელფორდ ნიკოლასი, რომელმაც კოხნარის მოსახლეობას და იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა მიულოცა:

მელფორდ ნიკოლასმა საქართველოში მისი ვიზიტის მიზანზეც ისაუბრა. მისი თქმით, სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა და წვდომა ინტერნეტზე გამოწვევაა ანტიგუა და ბარბუდასათვის და საქართველოს მიღწევები ამ კუთხით მისთვის ძალიან საინტერესოა.

რონალდუ ცხოვრებით ბკბება...



32 წლის ფეხბურთის ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ სოციალურ ქსელში ოჯახთან ერთად გადაღებულ ფოტოს აქვეყნებს. როგორც ჩანს იგი შვილებთან ერთად დასასვენებლად იმყოფება. სულ ახლახან პორტუგალიელს ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინა და მათ წუთითაც არ ტოვებს.

შვილებთან ერთად გადაღებულმა ფოტომ სოციალურ ქსელში, რამდენიმე საათში 7 მილიონი მოწონება დაიმსახურა. ფოტოზე უფროს ვაჟთან – სეხნია კრიშტიანუსთან და ტყუპებთან მატეო და ევასთანაა გადაღებული.

თუ მასმედიას დავუჯერებთ, წლის ბოლოს ვარსკვლავი კიდევ ერთხელ გახდება მამა, ოღონდ ამჯერად საყვარელი ქალი, მოდელი ჯორჯინა მეი გააბედნიერებს.

არაორდინალური ფრენა?

ნიგერიის ხელისუფლება იძიებს უჩვეულო ფრენის საქმეს. როგორც აღმოჩნდა ლაგოსი (ნიგერია)-ლონდონის რეისზე თვითმფრინავის შასში დამალულმა მოზარდმა 50-გრადუსიან ყინვაში იფრინა და უვნებელი გადარჩა.



უბილეთო მგზავრი ემანუელ უგოჩუკვუ „Med-View Airlines“ თვითმფრინავის შასში იპოვეს. მან ორმაგი ფრენა განახორციელა ლაგოსიდან ლონდონში და პირიქით. მოზარდმა ასეთ პირობებში 12 საათი გაატარა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მცდელობა ყოველთვის ფატალურად მთავრდება, სხეულის გადაყინვის ან ჰაერის უკმარისობის გამო. როგორ გადარჩა ეს ყმაწვილი, საოცარია.

ახლა ნიგერიის ხელისუფლება საგონებელშია, რომ მსგავსი შემთხვევები კიდევ არ განმეორდეს.

„THE MOSCOW TIMES“ იხურება

5 ივლისს ცნობილი გახდა, რომ ყოველკვირეული გაზეთის „The Moscow Times“-ის ბეჭდური ვერსია აღარ გამოვა. ინგლისურ ენაზე გამომავალი გაზეთის ბოლო ნომერი 6 ივლისს ჩაეშვა ბეჭდვაში.

ინფორმაცია გაზეთის ინტერნეტ საიტზე განთავსდა. გამომცემლებმა გადწყვიტეს, რომ უფრო მეტად განავითარონ ინტერნეტ გაზეთი, რაც რასაკვირველია, თანამშრომლების შემცირებასაც გამოიწვევს.

The Moscow Times

დამფუძნებელმა დერკ საუერმა ივნისში განაცხადა, რომ შესაძლებელია „The Moscow Times“ ერთ-ერთ საქველმოქმედო ფონდს გადაეცეს მისი „უსაფრთხო მომავლის“ უზრუნველსაყოფად.

პრეზიდენტი ჯეფერსონი მონათმფლობელი ყოფილა!

აშშ-ს რიგით მესამე პრეზიდენტს, თავისუფლების დეკლარაციაზე ხელმომწერ ტომას ჯეფერსონს საკუთარ მამულში მონები ჰყავდა.

ადრე ამ ინფორმაციას სადავოდ თვლიდნენ, თუმცა ისტორიკოსებმა დაადგინეს, რომ ეს სიმართლეა.



ტომას ჯეფერსონის ფონდის წარმომადგენელმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ პრეზიდენტი არა მარტო მონათმფლობელი გახლდათ, არამედ ერთ-ერთ მათგანთან სარა (სალი) ჰემინგსთან ახლო ურთიერთობაშიც ბრძანდებოდა.

როგორც ირკვევა ამ ქალბატონმა ჯეფერსონს შვიდი შვილი გაუჩინა და ის ნამდვილად ცხოვრობდა მონტიჩელოს მამულში, ერთ-ერთ ოთახში, რომელიც 1960 წელს ტურისტების დიდი რაოდენობის გამო საპირფარეშოდ გადააკეთეს.

ჰემინგსების ოჯახის მფლობელი ჯეფერსონების 1775-1776 წწ. გახდა. პრეზიდენტის მეუღლის გარდაცვალების შემდეგ.

ქვეყნის ლიდერი 14 წლის სარა (სალის) პირდებოდა, რომ ყველა ბავშვს, რომელსაც ის ჯონის გაუჩენდა 21 წლის ასაკში თავისუფლებას აჩუქებდა. რამდენად შესრულდა ეს პირობა, უცნობია, თუმცა სალი 60 წლის ასაკში ისე გარდაიცვალა, რომ თავისუფლება არ ღირსებია.

მრავალი მკვლევარი უარყოფდა ამ ფაქტს, მაგრამ დნმ-ის კვლევებმა დაადგინეს ამ ორ ოჯახს შორის არსებული ნათესაური კავშირი.

ისტორიკოსები აცხადებენ, რომ ახლახან სალის ოთახში აღმოაჩინეს არა ერთი ისტორიული არტეფაქტი, რომელიც კიდევ უფრო მეტად ააშკარავებს პრეზიდენტისა და მონა ქალის სასიყვარული ამბავს.

მოამზადა
რუსუდან ქოგულია

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3980; ევრო - 2.7150;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0965;
100 რუბლი - 3.9958; თურქული ლირა - 0.6678;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4222;
1000 სომხური დრამი - 4.9938.

ამინდი 7 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+15	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge